სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 ივლისი 2000 №129 (1151) | ფასი 50 თეთრი

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

რა დროს ჩოგბურთია?!

საგანგებო ინტერვიუ კლაუდია შიფერთან, რომელმაც კინაღამ ნახევარფინალი ჩაშალა

პატრიკ რაფტერისა და ანდრე აგასის ნახევარფინალზე თქვენს მონამორჩილს ისეთი რამ გადახდა თავს, რაც სიცოცხლის ბოლომდე არ დაავიწყდება.

რაკი მატჩის ნახვის მსურველი მეტისმეტად ბევრი იყო, პრესისთვის ადგილები საკმარისი არ გამოდგა და რამდენიმე ჟურნალისტი ჯერ ცენტრალური კორტის თავზე მდებარე ჯიხურში გაგვამწესეს, მერე კი მოთამაშეებისა და საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ სექტორში დაგვაწინაურეს.

ამ მართლაც არაჩვეულებრივი, აურაცხელი თვალსასეირო გათამაშებით გამორჩეული შეხვედრის პირველი საათი იწურებოდა, როცა ჩემგან ორი რიგის მოშორებით მაღალმა და საოცრად გაფითრებულმა მანდილოსანმა ხალხი მიწი-მოწია და სკამზე მოკალათდა.

რამდენიმე წუთი ვიმტვრევდი თავს, სად მინახავს აქამდე-მეთქი, მერე კი სახელმა და გვარმა, რომელიც „ხურავს", მოულოდნელად ჩამკრა თავში — კლაუდია შიფერი! ჯერ დარწმუნებული სულაც არ ვიყავი ამაში, მაგრამ როდესაც დევიდ კოპერფილდის ყოფილმა სატრფომ მზის სათვალის მოხსნას საშველი საკმაო სიბნელეშიც არ დააყენა, დავასკვენი, ასე სუპერმოდელის გარდა არავინ მოიქცევა-მეთქი.

დარჩენილი სამი სეტის მანძილზე არც მე და არც ჩემს ირგვლივ მოკალათებულ კოლეგებსა თუ მაყურებლებს თამაშისთვის არ გვიყურებია, მთელ ტრიბუნას თავი ქალბატონი შიფერის ქერა ნაწნავისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ხანდახან ტაბლოს თუ გავხედავდით ანგარიშის გასაგებად.

ბადესთან ბრწყინვალედ მოთამაშე რაფტერმა უკანასკნელი ქულა მიითვალა თუ არა, სუპერმოდელის რიგის გამოსასვლელთან მოვკალათდი და მის მოახლოვებისას, სულის ხუთვის შეგრძნების მიუხედავად, როგორღაც ამოვღერღე, შეიძლება, ორიოდ კითხვა დაგისვათ-მეთქი?

კლაუდიამ პასუხი, ოღონდ ახლა არაო, სილასავით მტკიცა, მაგრამ განმეორებითი თხოვნის შემდეგ კიბეებზე მოწყალედ გაიმეტა მცირეოდენი დრო.

— ვის გულშემატკივრობდით დღევანდელ მატჩში?

— ორივე ჩოგბურთელი ძალიან მომწონს და რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება გამიჭირდება. შესანიშნავი მატჩი იყო, ძალიან ვისიამოვნე.

— ვინ არის თქვენი საყვარელი ჩოგბურთელი?

— რა თქმა უნდა, ბორის ბეკერი. მას კარგა ხანს ვქომაგობდი და შესანიშნავად ვიცნობ. სხვათა შორის, სწორედ გუშინ ვნახე შვეიცარიაში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის არჩევის დროს.

— თავად თამაშობთ ხოლმე?

— ჩოგბურთი ძალიან მიყვარს, ფორმაში ყოფნაში მეხმარება. როგორც კი თავისუფალ დროს და კორტებს მოვიხელთებ, თამაშის შანსს ხელიდან არ ვუშვებ.

— უიმბლდონზე როგორ აღმოჩნდით?

REUTERS ციურიხიდან

კლაუდია შიფერი და მისი საყვარელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი: 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა გერმანელებმა ამათი მეშვეობითაც ირგუნეს

— კარგად ვიცნობ სენდონ სტოლის, ის ჩემი მეგობრის ბოიფრენდია. სწორედ მან დამპატიჟა აქ და ხვალ კაცების წყვილების ფინალზეც მოვალ მისი თამაშის საყურებლად.

ის-ის იყო, დავაპირე მეკითხა, მოგვიანებით სადმე ხომ არ შევხვდეთ-მეთქი, რომ კლაუდიას მავანმა მხარბეჭიანმა ჯეელმა დაუძახა... მადლობის თქმაც კი ვეღარ მოვასწარი და მხოლოდ თვალი გავაყოლე კვალად. როდესაც ირგვლივ მიმოვიხედე, შურის თვალით მამაკაცების მთელი ჯგრო მიყურებდა.

სხვათა შორის, ეს ისტორიული მომენტი ერთმა კანადელმა კოლეგამ ფოტოზე აღბეჭდა და მოგვიანებით სურათის გამოგზავნასაც შემპირდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ფოტო ღირსეულ ადგილს დაიკავებს ოჯახურ ალბომში და, ალბათ, გადიდებულ ვარიანტში კედელზე ჩამოკიდების პატივის ღირსიც გახდება.

კაცები. ნახევარფინალი: პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) — ანდრე აგასი (2, აშშ) 7:5, 4:6, 7:5, 4:6, 6:3; პიტ სამპრასი (1, აშშ) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 7:6 (7:4), 6:2, 6:4.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

REUTERS ლონდონიდან

პატრიკ რაფტერმა ანდრე აგასის ხუთ სეტში მოუგო

ტორპედო გზაზე
ქუთაისი — ალბენა — ბელგრადი?

ამ დილით საკუთარი „დაფით“ ბულგარეთის გზას დაადგა საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“, რომელსაც 26 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ლიგის მატჩი ელის სავარაუდოდ ბელგრადში იქაურ „ცრვენა ზვეზდასთან“.

„ტორპედომ“ გუშინ პირველ საკონტროლო მატჩში გორის „დილა“ 4:0 დაამარცხა, მეგრელაძის და იონანიძის მეორე ტაიმში გატანილი წვილ-წყვილი გოლით.

ქუთაისელები ხვალ საღამოს, როგორც ამ ზამთარს, ვარნიდან 40 კილომეტრში მდებარე ქალაქ ალბენაში დაბინავდებიან და საწვრთნელ პროცესს იქ გაგრძელებენ, ამავე პერიოდში სავარაუდოდ 3-4 ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

ტორპედოელთა თავკაცმა დავით ყიფიანმა ბულგარულ შეკრებაზე 24 ფეხბურთელი იახლა.

მეკარეები: ზოიძე, ჭანტურია, მამალაძე; მცველები: მაზვილაძე, თურმანიძე, ზვადაგიანი, მალლაკელიძე, შეყრილაძე, ზ. არჩვაძე, თავბერიძე, გ. გოგოლაძე, ამისულაშვილი; ნახევარმცველები: ახვლედიანი, გუჩუა, შალამბერიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე, ასათიანი, იონანიძე; თავდამსხმელები: დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იმედაძე, მ. ბობოხიძე

როგორც ხედავთ, „ტორპედოში“ 5 ახალი ფეხბურთელია: „თბილისიდან“ ზურაბ მამალაძე, „ბათუმიდან“ ზურაბ არჩვაძე, „დინამოდან“ გუჩუა, „კოლხეთიდან“ ჯონი შალამბერიძე და „სამგურალიდან“ ყოფილი ინტერელი გოდერძი გოგოლაძე. სამაგიეროდ „ტორპედოს“ დაშორდა საყრდენ გიორგი გოგიაშვილს, რომელიც თავისუფალი აგენტია და უკლუბოდ დარჩენის სულაც არ ეშინია.

ფეხბურთელთა გარდა „ტორპედოს“ გაჰყვნენ: გენერალური დირექტორი მურად ქუთათელაძე, მწვრთნელის თანაშემწეები ჯემალ ხერხაძე, გელა კიკალეიშვილი, გიორგი აბზიანიძე, ექიმი დავით მურღულია, მასაჟისტები თამაზ როინიშვილი, ავთანდილ მიქაბერიძე და ვიდეოოპერატორი თემურ ჯავახაძე. მათ გარდა „ტორპედოს“ ყიფიანის და ხერხაძის ვაჟები გიორგი და ნუკრიც ახლავან, ოღონდ არა გუნდის ხარჯზე.

„ტორპედო“ ბელგრადს („ცრვენა“ რომ ფარერულ „ლაკსვიკარს“ დაამარცხებს, ეჭვი არავის ეპარება) ბულგარეთიდანვე წავა, ოღონდ არა საკუთარი ავტობუსით. „დაფი“ ქუთაისში დაბრუნებს იმ 6 ფეხბურთელს, როლებსაც ყიფიანი 18-კაციან განაცხადში არ შეიყვანს.

საქართველოს ჩემპიონი ბელგრადიდან მოსკოვის გავლით დაბრუნდება შინ, სადაც 2 აგვისტოს დაუხვდება მეტოქეს.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ფიფა ... დინამე
დაჟალდა

თბილისის „დინამოსა“ და „მრეტების“ საქმეზე თითქოს ახალი რა უნდა ითქვას, მაგრამ...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფასგან უპრეცედენტო დირექტივა მიიღო — 2000 წლის 7 ივლისიდან ფიფას მორიგ დირექტივამდე საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ აკრძალული აქვს ყველანაირი ტრანსფერი — სხვა კლუბიდან ვერ შეიძენს ფეხბურთელს, ასევე „დინამოს“ ვერც ერთი მოთამაშე ფიფას უნებართვოდ ვერ გაგრძელებს კარიერას უცხოეთში.

ესეც სასჯელი, რომელიც „დინამოს“ „მრეტებისთვის“ 30 ივნისამდე გადაუხდელი 150 000 დოლარის გამო დაედო.

ვიდრე ფიფა გადაწყვეტილებას არ შეცვლის, „დინამოს“ საქმე ძალიან ცუდად აქვს. მისი ფინანსური კრიზისიდან ერთ-ერთი გამოსავალი ხომ სწორედ ტრანსფერებიდან მიღებული თანხა გახლდათ. მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის „დინამოს“ შოკოლადის ფაბრიკა „მზიურის“ აქამდე კუთვნილი 35 პროცენტი ჩამოერთვა.

როგორ გაგრძელებს არსებობას თბილისის „დინამო“, ძნელი სათქმელია... რაღაც ხდება, თანაც ქართული ფეხბურთისთვის ძალიან ცუდი... რა?...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი ამასობაში რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკისგან“ ფაქსი მიიღო, ოთარ ხიზანეიშვილის ჩვენს კლუბში ჩარიცხვის უფლება მოგვეცითო. ჩვენმა ფედერაციამ მოკლედ უპასუხა — თბილისის „დინამოს“ ხიზანეიშვილის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხა გადუხადეთო. რამდენი? ჩვენთვის უცნობია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას განცხადებით, თბილისის „დინამო“ „სპარტაკისგან“ საკომპენსაციო თანხას თუ მიიღებს, პრობლემა არაა, ფედერაცია იმ დღესვე გააგზავნის რუსეთში შესაბამისს სერთიფიკატს.

კოგა ინასარიძე

სამი წლის შემდეგ

...ერთი უბრალო ფოტო იყო. რამდენიმე დღის წინ შემთხვევით გადავაწყდი „სარბიელის“ ფოტოარქივში. რუსთავის „ფოლადზეა“ გადაღებული და მასზე ორი ბიჭის საფეხბურთო ბღლარძუნია აღბეჭდილი.

ერთი შეხედვით თითქოს არაფრის მთქმელია, მაგრამ რომ დაფიქრდები და საფეხბურთო საქართველოს უახლოეს წარსულს თვალს გადაავლებ, მაშინ მიხვდები, ფოტოზე მისი გასაჭირი და უბედურებაა აღბეჭდილი.

...1997 წლის 7 სექტემბერი. რუსთავი. „ფოლადი“. საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუმინელ თანატოლებს ეთამაშება.

ურიგო გუნდი როდი ჰყავს ვახტანგ კოპალეიშვილს. სულ რჩეული, იმედისმომცემი ბიჭები არიან, თუმც არც კოპალეიშვილის მოწინააღმდეგე კოლეგას ჩამოუყვანია ნაკლები ფეხბურთელები.

გახურდა თამაში. ჩვენებურთაგან, როგორც ყოველთვის, ლაშა ჯაკობია აქტიურობს. კარში ზურაბ ბათიაშვილი ფხიზლობს, დაცვას მამუკა წერეთელი აკონტროლებს, შუა ხაზში დაუღალავად შრომობს გივი კვარაცხელია.

რუმინეთი მაინც არ ნებდება. დაცვაში საზრიანია კრისტიან კივუ, ნახევარდაცვაში მეტად მობილური ადრიან მუტუ.

მატჩის პირველი ნახევარი ფრედ, 0:0 დამთავრდა. იმედებს ვერც მეორე ტაიმის დასაწყისი იძლევა. საოცრად დაბალანსებული გუნდია რუმინეთის ნაკრები. ეს მუტუა თუ ვიღაც ოხერია, მთლად მოუხელთებელი შეიქნა.

სამი წლის წინანდელი რუსთავული მატჩის კობა ინასარიძისეული რეპორტაჟიდან ერთ ფრაგმენტს გავახსენებ მკითხველს...

„რუმინელთა ნახევარმცველი, გვარად მუტუ... მარტო მისი ოსტატობის ნახვად ღირდა ეს 90 წუთი, ჩვენგან კი ჯაკობიასი. 17 წლის ქართველი მასზე უფროს მეურვე მცველებს ისე გააბითურებდა ხოლმე, სტუმართა კართან აუცილებლად რაიმე ხიფათს ქმნიდა. მის გოლზე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ენით აუწერელი სილამაზისა იყო“.

საბოლოოდ მაშინ გაგვახარეს ქართველმა თვრამეტწლამდელებმა. ლაშა ჯაკობიამ და მისმა თანაგუნდელებმა დაამარცხეს მუტუ, კივუ და რუმინეთი.

დრომ ამის შემდეგ თავისთვის იდინა. ადრიან მუტუსა და კრისტიან კივუს ნიჭიერება და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება საფეხბურთო ევროპას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ახლა მუტუ იტალიური „ინტერის“ ფეხბურთელია, ხოლო კივუ ჰოლანდიური „აიაქსის“ მოთამაშე.

„ინტერი“, „აიაქსი“... როგორ ქუხს ეს სახელები საფეხბურთო მსოფლიოში. რომელი ქართველი ფეხბურთელი იუარებდა იმათთან მოხვედრას. ასე თუ ისე, ჰოლანდიური ლიგები კი ავითვისეთ, მაგრამ...

...იმ დღიდან სამი წლის შემდეგ კრისტიან კივუ და ადრიან მუტუ ნამდვილ ევროპის ჩემპიონატზე, რუმინეთის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ.

ბევრი დღესაც იმას ამტკიცებს, რომ წერეთლის სახით საიმედო მცველი „გვეზრდება“.

ზურაბ ბათიაშვილი სულაც უკლუბოდაა, დავით დიღმელაშვილი ერთხანს თურქეთში იყო, დაბრუნდა და...

დანარჩენებიც აქვე, ეროვნულ ჩემპიონატში ბურთაობენ და ახლა მათ იმედისმომცემს არავინ უწოდებს.

ყველაფერი კი გაუმართავი და არეული საფეხბურთო მეურნეობის ბრალია. პირობების უქონლობა, თავად ფეხბურთელის სიზარმაცე, ათასი მოწილე და ჩამზიარებელი, რომელსაც მხოლოდ ფული აინტერესებს, თორემ მერე ახალგაზრდა ფეხბურთელს რა ბედი ელის, დიდად არც აინტერესებს.

ჯერაც ახალგაზრდული ასაკის მუტუ და კივუ პატრონებმა (რა თქმა უნდა, ფართო გაგებით) „ინტერსა“ და „აიაქსში“ მოაწყვეს. გასაგებია, რომ დიდი როლი ითამაშა მათმა ნიჭიერებამ და ზრდის დიდმა პერსპექტივამ, მაგრამ არანაკლები ამ ბიჭების საფეხბურთო პატრონებმა (აგენტებმა).

დღეს საქართველოში ყოველი მეორე აგენტობას იბრალებს. ათასგვარი დაპირებებით აბრიყვებენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს და მათ მშობლებს (თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ ჭკუადამჯდარ მოთამაშესაც კი).

„გაემზადე, გელოდებიან!“ პასუხის გაცემას არავინ გაცლის და მიდიიი. არ ილევა „ნივა“, „შერიფი“, „ნახოდკა“, „ალანია“, „ლოკომოტივი“ (ეს ბოლო ბევრ ბიჭს ეგონა, „ლოკომოტივ“ ... ეს ... „ბოლ“ ... „ბოლ“ ... „ბოლ“

გიორგი დემეტრაძე: ყველა დავადუმე

რა უყვარს კახა კალაძეს, ეს უკვე იცის „სარბიელის“ მკითხველმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ უკრაინულ გაზეთ „2000“-ში გამოქვეყნებული მისი ინტერვიუ შევთავაზეთ. მაშინ კალაძის შესახებ უთუოდ ბევრს შეიტყობდით. და რა უყვარს კიევის „დინამოს“ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერ გიორგი დემეტრაძეს? როგორი იყო იგი ბავშვობაში? რას ფიქრობს ფეხბურთზე და ეროვნულ ნაკრებზე? ამას ქვემოთ, გიორგისთან ინტერვიუში გაიგებთ, რომელსაც უკრაინულ სპორტულ გაზეთ „კომანდას“ დაველესხებით. ჯერ იყო ინტერვიუ კალაძესთან. აქედანაც კარგად ჩანს უკრაინული პრესის დამოკიდებულება კიევის „დინამოს“ ქართველი ფეხბურთელებისადმი.

— გიორგი, რა ხანია კიევის დინამოელი ხართ, მაგრამ ისევ ბაზაზე ცხოვრობთ. ბინა ჯერ კიდევ არ მოუციათ?

— მომცეს, მაგრამ ჯერაც ვერ გადავედი, რემონტის დამთავრებას საშველი აღარ დაადგა.

— ბაზაზე ცხოვრება მოსაწყენი ხომ არ არის?

— კი, მაგრამ ამასაც თავისი უპირატესობა აქვს. მაგალითად, სავარჯიშოდ შორს არ დავდივარ (იცინის), თანაც საჭმელ-სასმელზეც არ მეხარჯება ფული, არც თავად მიწევს მომზადება.

— ქართული ტრადიციის მიხედვითაც მაგაცმა სუფრის გაძლა უნდა იცოდეს, თქვენ თუ ახერხებთ ამას?

— არა. ამ ტრადიციას ვერ ვიცავ. სამზარეულო საქმეებში მოვიკოჭლებ. მაქსიმუმ ერბოკვერცხი შევიწვა და ჩაი მოვიდულო, თუმცა ჭამა კი მიყვარს. განსაკუთრებით ქართული კერძები მომწონს. უკრაინულებიც შემიყვარდა — ბორშჩი და კიევური კატლეტი. მაგრამ შემწვარ კარტოფილს მაინც ვერაფერი შეედრება.

— და ქართული ღვინო?

— არ ვიცი...

— კიდევ ერთი არამსმელი ქართველი ხართ?

— ასეა. ისევე როგორც კახა კალაძეს, არც მე გამისინჯავს ქართული ღვინო, თუმცა მცოდნე და ბრძენი ხალხის მჯერა. რახან აქებენ, ესე იგი მართლა კარგია. დალევის დრო ჯერ არ მომსვლია. პირველ ადგილზე ფეხბურთს ვაყენებ. ღვინო და ფეხბურთო კი ერთმანეთს არ უთავსდება.

— მაშინ ფეხბურთზე ვისაუბროთ. როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?

— ისევე როგორც ათასობით ბიჭუნა, თავიდან დილიდან საღამომდე ეზოში ბურთს დავდევდი, ექვსი წლისა კი თბილისის „დინამოს“ ბავშთა საფეხბურთო სკოლაში ჩავეწერე. თავიდანვე მხოლოდ თავდასხმაში თამაში მინდოდა. 15 წლისა უკვე „დინამოს“ პირველ გუნდში მიმიწვიეს.

— დებიუტი გახსოვთ?

— რა დამავიწყებს? ეროვნული ჩემპიონატის მატჩი იყო. დამთავრებამდე 15 წუთით ადრე შევედი მინდორზე. გოლის გატანა მაინც მოვასწარი, თუმცა როგორ შევაგდე ეგ აღარ მახსოვს.

„დინამოში“ დიდხანს არ გაჩერებულვარ, მწვრთნელებმა გამოცდილებისა და სათამაშო პრაქტიკის მიღების მიზნით უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ კლუბში, თელავის „კახეთში“ გადასვლა მირჩიეს. იქ ერთი წელი დავყავი, მერე კი ისევ „დინამოს“ დავუბრუნდი. მის შემადგენლობაში სამჯერ საქართველოს ჩემპიონი გავხდი, ერთხელაც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, რის შემდეგაც „დინამომ“ ჰოლანდიურ „ფეიენოორდში“ გამანთხოვრა. იქიდან დაბრუნება მალე მომიხდა, „დინამო“ და „ფეიენოორდი“ სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. „დინამოს“ ჰოლანდიელების შემოთავაზებული თანხა ეცოტავა.

— მაშინ სხვა წინადადება არ გქონიათ?

— როგორ არა. ჰოლანდიური და ბელგიური კლუბები მეპატიჟებოდნენ. „ეკერენთან“ კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ თბილისში ვალერი გაზაევმა მომძებნა და ვლადიმერ გუცაევის დახმარებით ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადასვლაზე დამიყოლია, მაშინ გუცაევი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო, მითხრა, გიჯობს, „ალანიაში“ გადახვიდე, ნაკრებთან უფრო ახლოს იქნებიო.

— ეროვნული გუნდი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა. ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა.

— კიევის „დინამო“ თქვენი კარიერის უმაღლესი მწვერვალია?

— დღეისთვის კი. თუმცა თავიდან ბევრი სკეპტიკურად მიყურებდა. ბევრი მეუბნებოდა, შენგან არაფერი გამოვა, სხვაგან ვერ „გაქაჩავ“, მაგრამ ყველა დავადუმე.

— ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი კარიერაში...

— საქართველოს თასის ფინალი არ დამავიწყდება. „ბათუმთან“ მატჩში დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე შევედი მინდორზე, ანგარიში 0:0 იყო. დამატებითი დრო აღარ დანიშნულა, გადამწყვეტი გოლი გავიტანე, თასიც „დინამოს“ დარჩა.

— ფეხბურთი სწავლაში ხელს არ გიშლიდათ?

— თავიდან არა. აი „დინამოში“ რომ მოვხვდი, მერე კი სკოლის მიტოვება მომიხდა. საღამოს სკოლაში გადავედი. არ მიყვარდა გაკვეთილებზე ჯდომა. ძალიან ცელქი ვიყავი. მასწავლებლები სულ იმას მეხვეწებოდნენ, ოღონდ ჩუმად იჯექი და სამიანს დაგიწერთო.

— თქვენც ჩუმდებოდით? ვერ დავიჯერებ.

— მართალიც ხართ. მასწავლებლებმა არ იცოდნენ, ჩემთვის რა მოეხერხებინათ. თითქმის ყველა ჩხუბში ვმონაწილეობდი. სკამებს ვარყევდი, რომ მასწავლებლები წაქცეულიყვნენ, გაკვეთილებს ვაცდენდი, განსაკუთრებით პირველს ძილი მიყვარდა. ერთ ადგილზე წუთიც ვერ ვჯდებოდი. დილით ფეხბურთს ვთამაშობდი, მერე ვარჯიშზე მივდიოდი, საღამოს კი ისევ ბურთს დავდევდი. საშინლად ვიღლებოდი.

— მამა წინააღმდეგი არ იყო, უნდოდა, ფეხბურთელი გამოსულიყავით?

— წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეტყობა, იფიქრა, სწავლით არ სწავლობს, იქნებ ფეხბურთელი მაინც გამოვიდესო.

— ყველა ყმაწვილი, ვინც ფეხბურთს თამაშობს, სურს ვიღაცას დაემსგავსოს. თქვენი კერპი ვინ იყო?

— დიეგო მარადონა, თუმც არასდროს მიცდია, მისთვის მიმებაძა, არ მიყვარს მიბაძვა და იმიტომ. მე ფეხბურთში ჩემი გზა მაქვს, ჩემი სტილი, ჩემი ხელწერა. იმ ფეხბურთის თამაში მსურს, რომელიც მე ვიცი.

— საქართველოში ჩასვლას ხშირად ახერხებთ?

— ვლადიკავკაზში თამაშისას პრობლემა არ ყოფილა. თბილისამდე მანქანით სულ ორი საათის გზაა. ყოველი მატჩის შემდეგ „ალანიას“ ქართველი ლეგიონერები მანქანაში ვსხდებოდით და შინ მივდიოდით, მეორე დღეს კი უკან ვბრუნდებოდით. ჰოლანდიაში თამაშისას თბილისში ჩემი ყოველი ჩასვლა, სახლში დღესასწაული იყო. ნათესავები, ახლობელ-მეგობრები, ყველანი ჩემთან ბერიბებოდნენ, კიევიდან თბილისში კი ჯერ არ ჩავსულვარ.

— წეღან მანქანა ახსენეთ. ამ მხრივ კალაძეს ხომ არ ჰგავხართ?

— არა. კახა ავტომობილებზე გიჟდება, ჩემთვის კი მანქანა გადაადგილების საშუალებაა. თბილისში თავიდან 07 მარკის ავტომანქანა მყავდა, მერე „მერსედესი“ ვიყიდე, მესამე კი კახას დაბადების დღეს დავამტვრიე, მასთან მივიჩქაროდი. ახლა ბინის რემონტს მოვრჩები და მანქანისთვისაც მოვიცლი. ალბათ „მერსედეს“ ვიყიდი, ჩემი საყვარელი მარკაა.

— კიევის გაცნობა თუ მოახერხეთ?

— ძალიან ლამაზი ქალაქია. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კიეველისთვის ყველაზე ლამაზი ქალაქი კიევია, თბილისელისთვის — თბილისი და ასე შემდეგ.

— კიევში გადმოსვლის შემდეგ კარგა ხანს არ გიმართლებდათ. „რუსენბორგთან“ და „რეალთან“ მატჩებში რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენეთ. ბოლოს და ბოლოს „ბაიერნს“ გაუტანეთ...

— ჩემს წარუმატებლობებს ძალიან განვიცდიდი ერთი გოლი მჭირდებოდა, რომ საქმე ამწყობოდა, ფსიქოლოგიური ტვირთი მომეხსნა. ახლაც განვიცდი იმ მომენტების გამოუყენებლობას. იქნებ სწორედ ის გოლები დაგვაკლდა. გერმანელებს რომ გაეუტანე, მაშინვე გუნდის ექმისკენ გავიქეცი. მას თამაშის წინ დავპირდი, რომ გავიტანდი.

საერთოდ კი ვცდილობ, ასეთი წარუმატებლობები მალე დავივიწყო. ვერ გაიტანე? შეეცადე, უფრო მობილიზებული გახდე და შემდეგი მომენტი გამოიყენო, ვეუბნები ჩემს თავს.

თარგმნა ვანო ოჭროპირიძემ

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 კლაკვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1*
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	*ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელ), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	*შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
	ბათუმი *ჯანი კარნეკვალი*	*მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხობერია, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელაქორიძე (?)*	ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მეჯანაძე (შუქურა)	07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თოდეევი, დ. კვირკველია, ჭანტურია (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობდა. 05.07-14.07 ბაკურიანში მოემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ყვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3, ტორპედო 0:4*
	მერანი *სერგო გაბელაია*		ოდიშარია (ხობი)	01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*გოშკარანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ზაპოელი, ბელარუსი), ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, (?)*	გონჩაროვი (თბილისი), ყვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1, გორდა 0:1*
	თსუ *თენგიზ კაცია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონია), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ლ. ალადაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია)	ქიაბრიშვილი (ზოოვეტია)	28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:0*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

UEFA EURO 2000

მხოლოდ და მხოლოდ კარგი ფეხბურთი

2000 წლის 2 ივლისს როტერდამის „ფეიენოორდის“ სტადიონზე იტალიური სერია A ორად გაიყო და ევროპის თასი გაითამაშა

„ევრო 2000-ზე ახალი არაფერი ყოფილა“ — გამოითქვა აზრი და პირადად ჩემზე სიჩუმეში გავარდნილი ტყვიის შთაბეჭდილება მოახდინა. რას გულისხმობენ ამ სიტყვების ავტორები? ბელგიასა და ჰოლანდიაში გამართული ოცდათორმეტივე შეხვედრა უმარტივეს ნაწილებად რომ დავშალოთ და ყოველმხრივი ანალიზი ჩავუტაროთ საკუთარი თავისთვის დასმულ ამ კითხვას ერთადერთ პასუხს გავცემთ: ტაქტიკას, უფრო ზუსტად კი, ალბათ, თავად ტაქტიკის ერთ-ერთ, თვალშისაცემ ნაწილს — მოთამაშეთა მოედანზე განლაგებას. ევროპის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატზე ამ მხრივ სიახლე მართლაც არ ყოფილა. ვთქვათ, არავის აღუდგენია ძველი ყაიდის გარემარბის ფუნქცია ან 80-იანი წლების დანიელებისა და ფრანგების მსგავსად დაცვისვის კაცის მოკლების ხარჯზე ნახევარდაცვა არ გაუძლიერებია და ასე შემდეგ. ყველა გუნდმა ითამაშა ის ფეხბურთი, რაც მისი შესრულებით ენახათ და რასაც მისგან ელოდნენ.

მაგრამ, მოდით საკითხი სხვანაირად შევატრიალოთ. რა არის ფეხბურთის ძირი და რა მოგვწონს ან არ მოგვწონს სპორტის ამ სახეობაში? უპირველესად, დამეთანხმებით, ფეხბურთი არ არის ის, რაც საარსებო აუცილებლობას ემსახურება. იმისთვის, რომ ვიცოცხლოთ, ფეხბურთზე გაცილებიც მნიშვნელოვანი მოსავლის მოყვანაა. ერთი სიტყვით, ხალხმა, რომელიც შიმშილით არ კვდებოდა, ოდესღაც, ცხოველისგან განსხვავებით, ჭამის შემდეგ ძილის მაგივრად გასართობად ბურთი ითამაშა. ესე იგი, ყველაფერი გაჯიბრების ინსტინქტმა საზღვრები გაიფართოვა — უშუალოდ მოთამაშეთა გარდა გამოჩნდა სხვაც, ვინც დაიჯინა: ჩემიანები თქვენიანებს აჯობებენო. აი, ამის მერე, როდესაც თამაში ნეიტრალურმა ადამიანმაც ნახა, იგრძნო, რომ ძალიან მოსწონს ერთის სიმარდე, მეორის თავგანწირვა, მესამის სირბილის მანერა და ასე შემდეგ. გაჩნდა ესთეტიკა, გემოვნება, გატაცება და სხვა ბევრი რამ, რაც საუკუნის განმავლობაში გართულდა, გადაიხლართა და მთელი ფილოსოფიაც შეიქმნა.

ამდენი იმიტომ ვთქვით, რომ დავამტკიცოთ: ხალხისთვის მთავარია მისმა გუნდმა მოიგოს და ნახოს ბევრი ლამაზი ილეთი, კომბინაცია, გოლი, შეიქნას ინტრიგის მოწმე, იხილოს მოულოდნელად შეცვლილი პროცესი, მოედანზე მომხდარმა აიტაცოს, ყოველდღიურობას ცოტა ხნით მოწყვიტოს, მოახდინოს ეფექტი. ხოლო ყოველივე ამას მოთამაშეები და მათი დამრიგებლები სამი მცველით მოახერხებენ თუ ოთხით, სულერთია.

რა გვირჩევნია, ორმა გუნდმა სიახლე დანერგოს, ვთქვათ გააუქმოს თავდასხმა, ბურთი მოედნის ცენტრში დატოვოს და თერთმეტ-თერთმეტი კაცით თავთავის საჯარიმოს მიაკითხოს, თუ ნაცნობი მეთოდით ერთ თამაშში შვიდი გოლი გაიტანოს? განა თავად ფეხბურთელებსაც პირველი არ ურჩევნიათ? რა გვიჯობს, ვუცქიროთ „მობეზრებულ“ პელეს, მარადონას, კრუიფს, ბეკენბაუერს, პლატინის, ზიდანს, რაულს, დავიდსს, ბექემს, ფიგუს და თუნდაც კარგ ფორმაში მყოფ პობორსკის თუ ერთ მატჩში შექმნილ ოცდაათ ხელოვნურ თამაშგარეს (იყო დრო, როდესაც ბელგიელები ამ სიახლის დანერგვას ლამობდნენ) შეტევის გარეშე?

მაშ, რატომ ითქვა გოლებით, ინტრიგით და ვარსკვლავებით სავსე ჩემპიონატზე „ახალი არაფერი ყოფილაო“? ახალი სლოვენია იყო და საქართველო იქნებოდა, მაგრამ...

ძველი გუნდი

ერთი პოსტსაბჭოელი კოლეგისგან ასეთი არგუმენტი მივიღე — ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელიც ზუსტად იგივე იყო, რაც ორი წლის წინ. ერთი სიტყვით, აქაც „ახალი არაფერი ყოფილა“ შემხვდა.

ორი წლის წინ საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე ჩინებულად ითამაშა და ჩემპიონი გახდა. იმავე გუნდმა საუცხოოდ ითამაშა ახლაც და კვლავ ყველას აჯობა. მეტი სიახლე რა გნებავთ, ხშირად ყოფილა გუნდი, ამდენი ხნის განმავლობაში ბრწყინვალება და სიმძლავრე რომ შეენარჩუნებინოს? განა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ერთი და იგივე ნაკრები პირველად არ გახდა?

ფრანგებზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა სწორედ „გამარჯვებათა წყურვილზე“ გვმართებს ყურადღების გამახვილება. დიახ, ფაქტობრივად, იმავე ძირითადმა შემადგენლობამ ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული რომ მოიგო, მოტივაციის დაკარგვის ნაცვლად მორიგ ჯილდოზე დაგეშვა მოახერხა. ბელგიისა და ერთხელ ჰოლანდიის სტადიონებზე ჩვენ ვნახეთ ძალიან გამოცდილი, უკიდურესად შეთამაშებული, ზედმიწევნით პროფესიული (ამ სიტყვის ფართო გაგებით) გუნდი, რომელსაც ისე სწყურდა ჩემპიონობა, თითქოს არასდროს არაფერი მოეპოვებინა.

მაინც, რა აერთიანებდათ „ლურჯებს“? კარგად ნაცნობი სათამაშო სქემა, ერთმანეთის ყველა შესაძლო გადაადგილების ცოდნა, ერთმანეთის ოსტატობის ნდობა ანუ შეგრძნება, რომ თითოეულ კონკრეტულ საქმეს მისი უმაღლესი დონის სპეციალისტი ასრულებს. და კიდევ, მათ იტალიური სერია A-ს „აკადემია“ ჰქონდათ საერთო. ჩამოვთვალოთ: ლილიან ტურამი („პარმა“), ლორან ბლანი („ინტერი“), მარსელ დესაი (წლების განმავლობაში „მილანი“), დიდიე დეშამპი (წლების განმავლობაში „იუვენტუსი“), იური ჯორკაეფი (წლების განმავლობაში „ინტერი“), პატრიკ ვიეირა (ერთხანს „მილანი“), ზინედინ ზიდანი („იუვენტუსი“), ტიერი ანრი (ცოტა ხანს „იუვენტუსი“), კრისტოფ დიუგარი (ცოტა ხანს „მილანი“). ამათ დავამატოთ სათადარიგონი: კრისტიან კარამბუ (ყოფილი სამპდორიელი), და ვენსან კანდელა („რომა“).

ამ ჩამონათვალს თუ მაინც და მაინც, შეიძლება გამოვაკლოთ ანრი, ვიეირა და დიუგარი, რადგან ისინი იტალიის პირველობაზე არცთუ დიდხანს გამოდიოდნენ, მაგრამ ვეჭვობ, ამით ბევრი რამ შეიცვალოს.

თქმით კი იმის თქმა გვინდა, რომ სერია A-ში ფეხბურთელები ისე ოსტატდებიან და მებრძოლის ისეთ თვისებებს იძენენ, რომ შემდეგ, მათგან შეკრული გუნდი მხოლოდ უმაღლეს ჯილდოს თუ შეეჭიდება. ბოლოს და ბოლოს, რა იყო ევრო 2000-ის ფინალი თუ არა ორ გუნდად გაყოფილი სერია A-ს ვარსკვლავთა თამაში?

გასაგებია, რომ ეს ბოლო წინადადება ზუსტი არ აირს, ისევე, როგორც შემდეგი: და მათ შორის გამბოჯვა გუნდმა, რომელსაც „ზენიტი“ ერქვა. ჰყავდა. მაგრამ, მაინც, მოდით ამ ნათქვამს ცოტა ფართო აზრი მივანიჭოთ. ასე ვთქვათ, ჩემპიონატში, რომელშიც საშუალო შედეგიანობა თითქმის ერთ მატჩში სამი გოლის ტოლი იყო, მოიგო უფრო გოლების შემქმნელმა, ვიდრე ჩამშლელმა.

ზიდანი კი ზიდანია და თუ გნებავთ, მასზე დიდხანს ნუ შევჩერდებით. მხოლოდ ცნობილი შოტლანდიელი მწვრთნელისა და საფეხბურთო თეორეტიკოსის, ენდი როქსბურგის სიტყვები გავიხსენოთ: ზიდანი რომ ბურთს მიიღებს, მე გაოგნებული ვუცქერ. ის, ისევე როგორც ჩემი მეგობარი (ხელი პელესკენ გაიშვირა) და კიდევ რამდენიმე კაცი, მოედანზე განგებამ გამოუშვა.

ეს, როქსბურგმა როტერდამში „მასტერკარდის“ პრესკონფერენციაზე, ფინალამდე ორი საათით არდე თქვა, ორი საათის შემდეგ კი სერია A ორად გაიყო (ვიმეორებ და ვადასტურებ, ზუსტი ნათქვამი არ არის) და ევრო 2000-ის მთავარი ჯილდო გაითამაშა.

სერია A-ს გამარჯვებულ ნაწილზე ერთობ ზოგადად, მაგრამ თითქოს უკვე ვისაუბრეთ, მოდით ახლა დამარცხებულზე ვთქვათ.

ლამაზი კატენაჩო

სიახლე არ ყოფილაო — პირადად მე რამაც განმაცვიფრა, იტალიის ნაკრების დაცვა გახლდათ. არა, მის სიმტკიცეზე არ ვლაპარაკობ. „სკუადრა აძურას“ დაცვა რომ შეუვალია, ეს მართლაც ძველისძველი ამბავია. ქვემოთ ესთეტიკურ მხარეზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ევრო 2000-მდე არასდროს მენახა ბურთის წართმევის ასე გამოკვეთილი სილამაზე. ალბათ, ამის განსაკუთრებულად აღქმაში ალექსანდრე ჩივაძის, შოთა ხინჩაგაშვილისა და თამაზ კოსტავას წლობით ცქერისას ჩამოყალიბებულმა გემოვნებამ შემიწყო ხელი.

ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა და პაოლო მალდინი — მათი უშეცდომო, ზუსტი, დაჟინებული და მე ვიტყოდი, სწრაფად მშვიდი თამაშის ნახვა ტრიბუნიდან საოცრად ლამაზი სანახავი ყოფილა.

დასკვნა: ერი, რომელიც თავდაცვას ხელობიდან დიდ შემოქმედებად აქცევს, განსხვავებული კრიტერიუმით უნდა შეფასდეს.

მაგრამ ფეხბურთში ასეთი წესია: იმარჯვებს ის, ვისაც მეტი გოლი გააქვს. „სკუადრა აძურას“ თამაშში კი სწორედ გოლი არ შეინიშნებოდა. დიახ, აწ უკვე ჯოვანი ტრაპატონის შეცვლილ დინო ძოფს შეჯიბრებაზე ჩაყვანილი ჰყავდა თითქმის სრულყოფილი გუნდი, რომლის ყველაზე დიდი ნაკლი უღონო და შეზღუდული თავდასხმა გახლდათ.

ვგონებ, აქ მთავარი დამნაშავე კრისტიან ვიერის ტრავმა უნდა იყოს. ჯერ ერთი ვიერის არყოფნით ევრო 2000-ს ერთი აშკარა ვარსკვლავი დააკლდა და მეორეც, მას რომ ეთამაშა, იტალიის ნაკრებში გოლი საძებნელი აღარ იქნებოდა.

უმეტეს შემთხვევაში ძოფმა თავდამსხმელად იუვენტუსელი ფილიპო ინძაგი არჩია, მაგრამ მისგან შედეგი თუ გინდა, ალბათ, სხვა ტიპის გუნდი უნდა გყავდეს. ეს ფორვარდი საჯარიმოში შედებული ბურთის დარტყმით გამოირჩევა და შესაბამისად სჭირდება გარემო, სადაც მისი თაგანუგდელები თავის ნახევარზე კი არ არიან შექუჩულნი, არამედ მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ტრიალებენ და თუ თავად არ არტყამენ, მისთვის მოხერხებული პასის გადაწოდებაზე ფიქრობენ. თუ დაკვირვებიხართ, „იუვენტუსში“, საჯარიმოს გარეთ, ინძაგი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ მიღებული ბურთი რაც შეიძლება მალე დაუბრუნოს ვინმეს (არ დაკარგოს), თავად კი წინ გაიქცეს და იქ, კართან ეძებოს ხელსაყრელი წამი.

არადა, „სკუადრა აძურა“ სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდა. გუნდი საკუთარ ნახევარზე გახლდათ კონცენტრირებული და გოლის შეგდება ორსამ პასიანი სწრაფი კონტრშეტევით ჰქონდა ჩაფიქრებული. ასეთ სისტემას, ინძაგის მსგავსი კაფანდარა თა-

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს, ხოსე ანტონიო კამაჩოს ხშირად შეამჩნევდით ხელებგაშლილს

ვდამსხმელი კარგად ვერც უნდა მორგებოდა. აქ სწორედ ვიერი იყო საჭირო, პასის მიმღები, ბურთის ზორბა ტანით დამფარავი, მიტმასნილი მცველის მხრის ერთი გაკვრით ჩამოშორებელი და ღონიერი ფეხებით წინ წამსვლელი.

ამ საქმეს მეტ-ნაკლები წარმატებით თავი, თითქოს, მარკო დელვეკიომ გაართვა, მაგრამ დელ ვეკიო, ვიერი არ არის.

მასპინძლები

პირველად ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში შეჯიბრებას ორმა ქვეყანამ გაუწია მასპინძლობა. შესაბამისად საკუთარი კედლების უპირატესობით ორი ნაკრები სარგებლობდა. ერთი მათგანი, ბელგია, ერთობ უცნაური ბედის და ერთობ საშუალო კლასის აღმოჩნდა. უცნაურობას იმას ვუწოდებ, რომ ამ გუნდმა მშობლიურ „მეფე ბოდუინზე“ სამი მატჩი ჩაატარა და მიაღწია იმას, რასაც ასეთ ტურნირებზე ნებისმიერი გუნდი ნატრულობს — პროგრესი შეჯიბრების მსვლელობისას. მაგრამ, მასპინძლებმა თუ ნახევარმასპინძლებმა პლეი ოფის ეტაპზე მაინც ვერ გააღწიეს. მათ გაიმარჯვეს შეხვედრაში, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე სუსტად ჩაატარეს — შვედებთან — ხოლო შემდეგ ორ თამაშში, აშკარად ძლიერ იტალიასთან და ტალღასაყოლილ თურქეთთან დამარცხდნენ. იტალიას ბელგია ვაუკაცურად კი ებრძოლა, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა, ხოლო თურქეთთან იღბალმაც ზურგი აქცია.

მეორე მასპინძელი, ჰოლანდია, ბელგიაზე ყოველმხრივ ძლიერი იყო და ტრიბუნების მხარდაჭერაც უკეთ შეიშნო. ოლონდ, რაღაც დააკლდა. ნუთუ ბედის წყალობა? ალბათ, არა, რადგან მართალია ნახევარფინალში იტალიასთან ძირითად დროში ორი პენალტი ააცილა, მაგრამ ის ორი პენალტი (ერთი საეჭვო) ხომ დაუნიშნეს. ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ მის სასარგებლოდ ჩეხებთან, სულ პირველი შეხვედრის ბოლო წუთზე დანიშნული კიდევ ერთი საკამათო თერთმეტმეტრიანი. ამას კი უბედობას ნამდვილად ვერ უწოდებ.

მაშ რა იყო მიზეზი? ალბათ, ცოტა ხასიათის სისუსტე (იტალიამ ხომ, ბოლოს და ბოლოს, ჯიბრით აჯობა), ნაკლები სიზუსტე და კონკრეტულობა... არადა თითქოს ყველაფერი ეს იყო, მაგრამ მაინც მირაჟის ბუნდოვანება დასდევდა.

იტალიელი ფაბიო კანავარო არავის უფრთხოდა, თვით ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტსაც კი

ქვემოთ

ევროპის სამხრეთით ორი მეზობელი, მეოთხედფინალისტი და ნახევარფინალისტი ქვეყანა მდებარეობს — ესპანეთი და პორტუგალია. ორივე მომავალმა ჩემპიონმა გამოთიშა შეჯიბრებას.

საუცხოო გუნდი ჰყავდათ ესპანელებს, სამი გამოკვეთილი ვარსკვლავი: ხოსეპ გვარდიოლა, რაული და გაისკა მენდიეტა. ამ ტრიოს გარდა დიდებულად თამაშობდა ივან ელგერა, შემდეგ კი მუნიტისს, აბელარდოს, სერხის და სხვებსაც დავასახელებდი, თუმცა სამი მოთამაშის შექებისგან თავს შევიკავებ. მეკარეებს, ხოსე მოლინას და სანტიაგო კანისარეს, აგრეთვე თავდამსხმელ ალფონსოს ვგულისხმობ. პირველმა და მეორემ გოლები მაშინ გაუშვეს, როდესაც არ უნდა გაეშვათ, მესამემ კი თანაგუნდელებს უამრავი დამატებითი თავსატეხი გაუჩინა — ბურთს კარგავდა, პასს სწორად ვერ აწვდიდა და ასე შემდეგ.

და მაინც, მთავარი დამნაშავე მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო მგონია. თან არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, იუგოსლავიასთან შეხვედრაში შეტევაში მწვავე მენდიეტა ყველაზე საუკეთესო ადგილს მოაშორა და დაცვაში ჩაიყვანა (ბოლოს და ბოლოს, ასეც მოიგო, გამარჯვებულს კი არ ასამართლებენ), არამედ იმიტომ, რომ ევრო 2000-ზე არ წაიყვანა მადრიდის „რეალის“ მეორე ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი.

ერთ ესპანელ კოლეგას ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის დღეს ვკითხე ამის მიზეზი. პასუხი ასეთი გამცა: კამაჩო თვლის, რომ მორიენტესი და ურსაისი ერთი ტიპის თავდამსხმელები არიან და მათ შორის ურსაისი არჩიაო. კეთილი, მაგრამ, როგორც გაირკვა, ურსაისი მწვრთნელს მხოლოდ სათადარიგოდ ესახებოდა და მას ყოველად გაუგებრად [illegible] ფონსოს ამჯობინებდა. გარდა ამისა, თუკი რაული ლიდერად გესახება, რატომ ართმევ გვერდიდან უკიდურესად შეჩვეულ მორიენტესს? ნუთუ ურსაისი მას იმდენად სჯობს, რომ რაულთან ახალი პარტნიორის შეთამაშებაზე დროის ხარჯვად გიღირს?

ასეთი გახლავთ კითხვა, რომელიც ჩემთვის დღემდე უპასუხოდ რჩება. არადა ესპანეთს მართლაც დიდებული გუნდი ჰყავდა, მეოთხედფინალში წაგებისთვის ცოდო, რომელსაც ყველაფრის მიუხედავად ალფონსოთიც შეეძლო ნახევარფინალში გასვლა — გაიხსენეთ ფრანგებთან შეხვედრაში რაულის აცილებული პენალტი. ან, დავუშვათ, ესპანელები იმავ მეოთხედფინალში სხვა ჯგუფიდან რომ გასულიყვნენ და რომელიმე სხვა გუნდს გადაყროდნენ... მაგრამ ეს ფანტაზიაა, უსაგნო და უსარგებლო.

და პორტუგალიასაც ასეთი ნაკრები ვინ იტყვის, როდის ჰყოლია. ფერნანდო კოლიუს ბელგიასა და ჰოლანდიაში თერთმეტი ფეხბურთელისგან შედგენილი ერთი ორგანიზმი ჰყავდა ჩაყვანილი. თავად უკვირდათ, პორტუგალიელები ერთმანეთთან შეუთანხმებლად რომ თამაშობენ, პირველად ვნახეთო.

მათი მატჩების საერთო სურათი ტრიბუნიდან ასე შეიძლება დავახასიათოთ: პორტუგალიელ ფეხბურთელები მოედანზე ერთდროულად მოძრაობდნენ ანუ მოძრავი მხოლოდ ბურთიანი კაცი როდი იყო.

გამორჩეული ფიგურები მათაც ჰყავდათ, თუნდაც მოსალოდნელი ფიგუდა მოულოდნელი ნუნუ გომეში. სხვებიც თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ საფრანგეთთან მაინც წააგეს, წააგეს პენალტების პირას მისულებმა, პენალტით, რომელიც მეტისმეტად მწარე გამოდგა.

ხოლო თუ ვინმე, მაგალითად ინგლისი, ამ ტექნიკურ გუნდს ზედიზედ თექვსმეტი პასის გადაწოდების საშუალებას მისცემდა, ის, ბუნებრივია, ამარცხებდა. ინგლისის მერე ხომ მათ გერმანია დალაშქრეს, თუმცა აქ ევრო 2000-ისთვის სუსტ გუნდებზე სიტყვას ნუღა გავაგრძელებთ, რადგან ერთი რომ, თემა კვლავ უამრავი რჩება, და მეორეც, სადმე წერტილიც ხომ უნდა დავსვათ.

ილია გაგუნაშვილი

ზინედინ ზიდანი მოედანზე ზეციდან გამოუგზავნიათ

ლუიშ ფიგუ — მას იცნობდნენ და ელოდნენ

გრანდიოზული სკანდალი: გერმანიამ ფიფა მოქრთამა

დეტექტიური ქრონიკა

ფრანც ბეკენბაუერმა ზეპ ბლატერისგან მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ჩაიბარა

დოიჩლანდ!

ციურიხი
6 ივლისი

ფიფას პრეზიდენტი სცენაზე ადის, ხელში დალუქული კონვერტი უჭირავს, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა წერია. ბლატერი არ ჩქარობს, ჯერ ოთხივე პრეტენდენტს მადლობას უხდის. აღნიშნავს, რომ ოთხივე ღირსეული იყო და ჩემპიონატის მასპინძლობას ჩინებულად შეძლებდა, მაგრამ... ფიფა იძულებულია, მათგან მხოლოდ ერთი აირჩიოს. მცირედი პაუზა. ბლატერი კონვერტს ხსნის, ფურცელს იღებს, ღიმილით დახედავს, დარბაზისკენ შეაბრუნებს და ხმამაღლა ამბობს: გერმანია!

ბეკენბაუერის სიზმარი

ციურიხი
5 ივლისი

ფრანც ბეკენბაუერი საშინელ სიზმარს ხედავს. მისი თავი ბურთის შიგნითაა მოქცეული. ჰაერი არ ჰყოფნის, ტყავი სულ უფრო და უფრო მჭიდროვდება.

ბეკენბაუერს ნებისყოფის უდიდესი დაძაბვა უხდება, ცდილობს, ხელებით ბურთი გაგლიჯოს და თავი გაითავისუფლოს. როგორც იქნა, შეძლო. ახლა ის საწოლზე ზის .და სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაჰფენია. საწოლი კი სტადიონზე მოგორავს. გარშემო ნორჩი ფეხბურთელები ჩამწკრივებულან და კაიზერ ფრანცს ტაშით ეგებებიან.

„ბეკენბაუერის სიზმარი“ სარეკლამო ფილმია, რომელიც გერმანიის დელეგაციამ თავისი კანდიდატურის პრეზენტაციაზე უჩვენა. ეს ხუთ ივლისს იყო, მეორე დღეს ბეკენბაუერს მთელი გერმანია უკრავდა ტაშს.

ბეკენბაუერი გულთმისნობს

ბრიუსელი
26 ივნისი

ევროპის ჩემპიონატზე ჩასული ფრანც ბეკენბაუერი გაზეთ „ბილდის“ რეპორტიორს შეხვდა. საუბარი ძირითადად გერმანიის ნაკრებს შეეხებოდა.

ბეკენბაუერი: „ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს. მეტსაც ვიტყვი, ევროპის ჩემპიონატი ორად უნდა გაიყოს. მთავარ ტურნირში მაღალი კლასის გუნდები უნდა იყვნენ, მეორეში კი ყველა დანარჩენი, მათ შორის გერმანია. ბუნდესნაკრები მეტს არ იმსახურებს. იმასაც ვშიშობ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება თუ ვერ მოვიპოვეთ, შეჯიბრი ეგებ უჩვენოდ ჩატარდეს“.

ამონაწერი ფიფას წესდებიდან

(კენჭისყრის გამართვის წესების შესახებ)

კენჭისყრაში მონაწილეობს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ოცდათხივე წევრი.

კენჭისყრა ფარულია და თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს ის კანდიდატი, რომელიც ხმათა უმრავლესობას მიიღებს (საკმარისია 13 ხმა).

კენჭისყრა შესაძლოა სამ ტურად ჩატარდეს:

პირველი ტური: თუ ვერც ერთი კანდიდატი 13 ან მეტ ხმას ვერ მოაგროვებს, ყველაზე ნაკლებხმიანი ბრძოლას გამოეთიშება.

მეორე ტური: აღმასკომის წევრები ხელახლა უყრიან კენჭს დარჩენილ სამ კანდიდატს. თუ ხმების საჭირო რაოდენობა ამჯერადაც ვერავინ მოაგროვა, ორი საუკეთესო პრეტენდენტი მესამე ტურში იყრის კენჭს.

მესამე ტური: გამარჯვებულია ის, ვინც კონკურენტზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ორივე კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, გადამწყვეტია ფიფას პრეზიდენტის ხმა.

სხდომა დაიწყო

ციურიხი
6 ივნისი

„მესე ჰალში“ ხალხმა თორმეტის ნახევრისთვის მოიყარა თავი. ვის აღარ ნახავთ იქ — დელეგაციების წევრები, თავისი პრეზიდენტებით, კანცლერებით, მინისტრებით, ტოპ მოდელებით და სერებით. მოწვეული სტუმრები, ყველა კონტინენტიდან და ყველა რასის. თუმცა მთელი ყურადღება იმ ოცდათხი მსაჯულისკენაა მიმართული, რომლებიც ვერდიქტის გამოსატანად მზად არიან. გავიცნოთ: პრეზიდენტი ზეპ ბლატერი (შვეიცარია), ვიცე-პრეზიდენტები: ხულიო გრონდონა (არგენტინა), დევიდ უილი (შოტლანდია), ლენარტ იუჰანსონი (შვედეთი), ისა ჰაიატუ (კამერუნი), ანტონიო მატერეზე (იტალია), ჩუნგ მონგ ჯუნი (სამხრეთ კორეა), ჯეკ უორნერი (ტრინიდადი და ტობაგო), წევრები: აბდულა ალ დაბარი (საუდის არაბეთი), სლიმ ალულუ (ტუნისი), მიშელ დოგე (ბელგია), ისააკ სასო სასო (კოსტარიკა), რიკარდო ტერა ტეიშეირა (ბრაზილია), პერ რავნ ომდალი (ნორვეგია), მოჰამედ ბინ ჰამამი (ყატარი), სენეს ერზიკი (თურქეთი), ჩარლზ დემპსი (ახალი ზელანდია), ჩაკ ბლეიზერი (აშშ), ვორავი მაკუდი (ტაილანდი), ნიკოლას ლეოსი (პარაგვაი), ისმაელ ბამჯი (ბოტსვანა), ამადუ დიაკიტე (მალი), ანხელ მარია ვილიარ ლონა (ესპანეთი), ჯოზეფ მიფსუდი (მალტა).

ინგლისის, გერმანიის, სამხრეთ აფრიკის და მაროკოს ბედი მათ ხელშია.

კენჭისყრის სტენოგრამა

ციურიხი
6 ივლისი

პირველ ტურში ხმები შემდეგნაირად განაწილდა: გერმანია — 10, სამხრეთ აფრიკა — 6, ინგლისი — 5, მაროკო — 3.

გერმანიას გასამარჯვებლად სამი ხმა დააკლდა. იქნებ სწორედ ის, რომლებიც მაროკომ მიიღო? საეჭვოა. მაროკოელთა ქომაგები მეორე ტურში ალბათ სამხრეთ აფრიკას დაუჭერენ მხარს.

მეორე ტურის შედეგები: გერმანია — 11, სამხრეთ აფრიკა — 11, ინგლისი — 2 ხმა.

თუ პირველი და მეორე ტურების შედეგებს შევადარებთ, ერთ უცნაურობას შევამჩნევთ. ტურებს შორის სხვაობა სულ რამდენიმე წუთი იყო და ინგლისის სამმა მხარდამჭერმა მეტოქეთა ბანაკში გადასვლა მაინც მოასწრო. თუ ვივარაუდებთ, რომ მაროკოს ხმები სამხრეთ აფრიკამ წაიღო, გამოდის, რომ ერთ „ინგლისელს“ პოზიცია გერმანიის სასარგებლოდ შეუცვლია, ხოლო ორს — სამხრეთ აფრიკელთა.

მერე გაიმართა მესამე ტური... გერმანია — 12, აფრიკა 11. აღმასკომის ერთმა წევრმა თავი შეიკავა.

შავი შოკი

ციურიხი, კეიპტაუნი, მთელი აფრიკა, 6 ივლისიდან დღემდე

ციურიხს ნასტუმრევი გერმანიის დელეგაცია მეტად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მხოლოდ სახელები ჩამოთვალოთ: ფრანც ბეკენბაუერი, გერჰარდ შროიდერი, ბორის ბეკერი, კლაუდია შიფერი, კარლ ჰაინც რუმენიგე, გიუნტერ ნეტცერი, რუდი ფიოლერი. მთელ ამ ბრწყინვალებაში ჩვენთვის ყველაზე უცნობი პიროვნება ოტო შილია. თუმცა ხელწამოსაკრავი ვინმე არ გეგონოთ, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი გახლავთ.

სამხრეთ აფრიკას კი ვინ ჰყავდა ციურიხში? სახელოვანთაგან არავინ, თუმცა ერთი ასეთი, გაცილებით ჰყავთ — ნელსონ მანდელა. მისი ციურიხში ჩაუსვლელობა კი ერთადერთი მიზეზით იყო განპირობებული — სამხრეთაფრიკელები თავის გამარჯვებაში დარწმუნებულები იყვნენ და საჭიროდ არ ჩათვალეს.

ზეპ ბლატერმა გამოცხადა: დოიჩლანდ! და აფრიკული დელეგაცია გაოგნებული დარჩა. სამხრეთაფრიკული ქალაქების ქუჩები კი მწუხარე სახეებით გაივსო. მათ სხვა აფრიკული ქვეყნებიც შეუერთდნენ და ერთხმად თქვეს: ფიფას თავისი ფავორიტები ჰყავს. ჩვენ გაგვწირეს. აფრიკის განვითარება არავის აღელვებს!

ამ დროს კი...

სკანდალი იწყება

ველინგტონი
7 ივლისი

კენჭისყრის ბედი ფაქტობრივად იმ ერთმა კაცმა განსაზღვრა, ვინც თავი შეიკავა. მას რომ სამხრეთ აფრიკისთვის დაეჭირა მხარი, გადამწყვეტი ზეპ ბლატერის ხმა გახდებოდა, ის კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის აფრიკის კონტინენტზე გამართვის იდეას ემხრობოდა.

ვინმე აუცილებლად იტყვის, რომ შეიძლებოდა, იმ ერთს გერმანიისთვის მიეცა ხმა და ამ საკითხზე კამათი არ ღირსო.

შეძლებით როგორ არ შეიძლებოდა, მაგრამ მას თავისი კონფედერაციისგან მკაფიოდ ჩამოყალიბებული დირექტივა ჰქონდა მიღებული: ხმა მიეცი ინგლისს, ხოლო თუ ინგლისი ბრძოლას გამოეთიშება — სამხრეთ აფრიკას!

საუბარია ჩარლზ დემპსიზე, ოკეანეთის ერთადერთ წარმომადგენელზე ფიფას აღმასკომში, მისთვის მიცემული დირექტივა კი მსოფლიოს ახალი ზელანდიის სპორტის მინისტრმა ტრევორდ მელერდმა ამცნო. „ჩვენ დემპსის ოკეანელთა საერთო გადაწყვეტილება ვამცნეთ — ამბობს მელერდი — ის ვალდებული იყო, ინსტრუქცია შეესრულებინა. გაოგნებულები ვართ“.

დახურულ კარს მიღმა

ციურიხი
6 ივლისი

აღმასკომის 24 წევრი ცალკე დარბაზში გავიდა და კენჭისყრისთვის მზადებას შეუდგა. პროცედურის დაწყებამდე ტრინიდადელმა ჯეკ უორნერმა და შოტლანდიელმა დევიდ უილიმ აღმასკომის დანარჩენ წევრებს განუცხადეს, რომ მათ გერმანელებისგან წერილი მიიღეს და გერმანიის კანდიდატურის გამარჯვების შემთხვევაში „პრემიას“ დაპირდნენ. უორნერმა და უილიმ შექმნილი ვითარების გამო კენჭისყრის გადადება მოითხოვეს.

აღნიშნული წერილი კი ზეპ ბლატერს გადაეცა, ციურიხის პოლიციისთვის წარსადგენად. პრეზიდენტმა უარი განაცხადა — სკანდალს მოერიდა. კენჭისყრა შედგა, სკანდალიც...

სხდომის საზეიმო ნაწილზე ამ ინციდენტის შესახებ არაფერი თქმულა.

ჩარლზ დემპსი

ველინგტონი
7 ივლისი

ჩარლზ დემპსი 78 წლისაა. 1982 წლიდან ოკეანეთის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტია. ის 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიცაა.

დემპსი განმარტავს, რომ მას უცნობი პირები ემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, სამხრეთ აფრიკისთვის ხმა არ მიეცა, ხოლო „პრემიის“ დაპირებით წერილი მასაც მიუვიდა.

შეშფოთებულია დემპსის მეუღლეც. მისი თქმით, სახლში დაბრუნებული მისი ქმარი საშინელ დეპრესიაშია, მუქარაზე და ქრთამზე ლაპარაკობს და გერმანიის გარდა სხვა კანდიდატების მხრიდან არსებულ ზეწოლას ახსენებს.

სკანდალი გრძელდება

რამდენიმე ხნის წინ მასპინძლობის უფლებით ვაჭრობაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამხილეს. ნუთუ ჯერი ფიფაზე მიდგა?

გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია. მუქარა-მოქრთამვის ფაქტები შესაძლოა არც დამტკიცდეს, მაგრამ სკანდალი აგორდა და მისი შეჩერება ურთულესი საქმე იქნება.

გიორგი დარჯანია



სამხრეთ აფრიკის დელეგაციის ხელმძღვანელი დენი ჯორდანი ფრანც ბეკენბაუერს გამარჯვების ნაძალადევად ულოცავს



ჩარლზ დემპსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘ ᲝᲠ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ



ᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘ

- 1939: დაიბადა 1939 წლის 17 მარტს პატარა ქალაქ კუზანოში, მილანთან ახლოს
- 1962: „მილანის“ რიგებში გახდა იტალიის ჩემპიონი
- 1963: მოიგო ჩემპიონთა თასი. „მილანმა“ „უემბლიზე“ 2:1 დაამარცხა „ბენფიკა“
- 1968: „მილანთან“ ერთად მეორედ მოიპოვა იტალიის ჩემპიონობა
- 1969: ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანმა“ 4:1 მოუგო „აიაქსს“
- 1976: დაინიშნა „მილანის“ მწვრთნელად და პირველივე სეზონში გუნდს სკუდეტო მოაგებინა
- 1977: სამუშაოდ გადავიდა „იუვენტუსში“. ტურინულმა კლუბმა იტალიის ჩემპიონობა და უეფას თასი მოიგო
- 1978: „იუვენტუსმა“ ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა სკუდეტო
- 1981: „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონი გახდა
- 1982: მწვრთნელობის მეექვსე წელს მეხუთედ ირგუნა ქვეყნის ჩემპიონატის ტიტული
- 1984: „იუვენტუსმა“ სკუდეტო და თასების მფლობელთა თასი მოიგო
- 1985: „ეიხელის“ სტადიონზე „იუვენტუსმა“ „ლივერპულს“ სძლია და ჩემპიონთა თასს პირველად დაეუფლა
- 1986: ტრაპატონისთან ერთად „იუვენტუსმა“ მეექვსედ მოიპოვა სკუდეტო. სამუშაოდ გადავიდა „ინტერში“.
- 1989: „ინტერი“ გახდა იტალიის ჩემპიონი, თან დააგროვა სარეკორდო 58 ქულა (მოგებისთვის გუნდს ორი ქულა ეწერებოდა).
- 1991: უეფას თასის ფინალში „ინტერმა“ „რომა“ დაამარცხა.
- 1992: „იუვენტუსმა“ უეფას თასის ფინალში დორტმუნდის „ბორუსია“ დაამარცხა.
- 1993: სამუშაოდ გადავიდა მიუნხენის „ბაიერნში“, მაგრამ შეექმნა ენობრივი ბარიერი და სეზონის ბოლოს კლუბი დატოვა
- 1994: ჩაიბარა „კალიარი“, მაგრამ კარიერაში პირველად, 21 ტურის შემდეგ პოსტი დატოვა
- 1966: დაბრუნდა „ბაიერნში“ და გუნდს ბუნდესლიგა მოაგებინა
- 1997: გადავიდა „ფიორენტინაში“ და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა
- 1998: წავიდა „ფიორენტინადან“
- 1999: 6 ივლისს გახდა იტალიის ნაკრების მწვრთნელი

ᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲠᲐᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡ სახლში მოხვედრილს ორი ოთახი გაგაკვირვებთ. ერთში კომპაქტ-დისკების უმდიდრესი კოლექციაა. გადაათვალიერებთ და აღმოაჩენთ, რომ ტრაპატონი კლასიკური მუსიკის, გამორჩევით კი ბეთჰოვენის დიდი თაყვანისმცემელია და მოცალეობისას ნეტარებითაც უსმენს. მაგრამ მუსიკალურ ოთახში განმარტოვებულ ტრაპატონის იშვიათად წააწყდებით. მიზეზი მეორე ოთახში უნდა ვეძიოთ. იქაც კოლექციაა, ასევე უმდიდრესი, ოღონდ სპორტული ჯილდოებისა. იქ ნახავთ დამადასტურებელ საბუთებს, რომ ტრაპატონი საფეხბურთო და სამწვრთნელო სარბიელზე რვაჯერ სკუდეტოს, ბუნდესლიგის ჩემპიონობის, სამჯერ ჩემპიონთა და უეფას თასების და ერთხელაც თასების თასის მფლობელია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ნაირ-ნაირი მედლებისა და თასების მოპოვებით გართულ კაცს მუსიკისთვის ცოტა დრო რჩება.

ჯოვანი ტრაპატონის პორტრეტი სრული რომ გამოვვიდეს, რამდენიმე შტრიხიც დავამატოთ.

ზამთარია, ცივა. მაგრამ ფეხბურთი, მოგეხსენებათ, ამინდის ჭირვეულობას არ ეპუება. ამიტომ ჭაღარა მწვრთნელი თავის სამუშაო ადგილზეა ანუ მოედნის კიდესთან დგას. ცალკე სამხრეთული ტემპერამენტის, ცალკე კი სიცივის გამო ერთ ადგილას ვერ ჩერდება აქეთ-იქით დაბობტებს. თამაშის ცქერით გართულს ვერ მოუსაზრებია, პერანგის დაკაპიწებული სახელოები მაინც ჩამოიწიოს. მხრებზე მოსხმული პიჯაკი სიცივეს ვერ ერევა. ტრაპატონი კი დგას, პირში ორი თითი ჩაუდვია და უსტვენს, ფეხბურთელების ყურადღების მიქცევას ცდილობს. მერე რა, რომ სეზონისთვის შეუფერებლადაა ჩაცმული და ასაკოვანკაცს გამაყრუებლად სტვენა არ შეშვენის. ამას ტრაპატონი არად დაგიდევთ — მთავარია, გუნდმა მოიგოს. მის გუნდები კი იგებენ, რასაც დონ ტრაპის ნადავლთა კოლექციაც მოწმობს.

ორი დღის წინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ 61 წლის ჯოვანი ტრაპატონის „სკუადრა აძურა“ ორი წლით ჩაბარა. ამ ამბამდე 43 წლით ადრე კი ყმაწვილმა ტრაპატონიმ ძველ „სან სიროზე“ პირველად შეადგა ფეხი (ცხადია, როგორც ფეხბურთელმა), „მილანი“ იტალიის თასზე თამაშობდა. დიდ დებიუტამდე სერია A-მდე კიდევ სამი წელი რჩებოდა. თუმცა იყო საშიშროება, ტრაპატონის მინდორზე გასვლა გადადებულიყო. თამაშის წინა ღამე მან თეთრად გაათენა და განერვიულებულს დილით სიცხე ჰქონდა. ეს გუნდის ლეგენდარულ მწვრთნელ ნერეო როკოს რომ გაეგო, სასტარტო შემადგენლობაში ვინმე სხვას მიუჩენდა ადგილს, მაგრამ ახალბედამ თავისი ავადმყოფობა დამალა.

ტრაპატონიმ „მილანში“ 11 სეზონი გაატარა და ორჯერ სკუდეტო და ორჯერაც ჩემპიონთა თასი მოიპოვა. 1960-64 წლებში კი მან 17-ჯერ ითამაშა ნაკრებში.

ჯოვანი ტრაპატონი

ჯოვანი ტრაპატონი ნაკრებში მის წინამორბედ დინო ძოფივით სახელგანთქმული ფეხბურთელი არ ყოფილა, თუმცა ყველაფერი შედარებითია. 1969 წლის 28 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანი“ რინუს მიხელსის „აიაქსს“ შეხვდა. ნერეო როკომ ტრაპატონის მრისხანე იოჰან კრუიფის მეთვალყურეობა დაავალა და იმ საღამოს ჰოლანდიელს მინდორზე დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია — ტრაპატონის ვერ გასცდა. „მილანმა“ კი 4:1 მოიგო.

მერე იყო სამწვრთნელო სარბიელი, რომელიც დღემდე გრძელდება. ტრაპატონი — მწვრთნელზე ან დაუსრულებლად უნდა ისაუბრო, ან არაფერი თქვა. ჩვენც ამ უკანასკნელ გზას დავადგეთ, მით უმეტეს, მისი ჯილდოების ოთხში უკვე შევიხედეთ. მხოლოდ დავამატოთ, რომ ტრაპატონი პირველი იტალიელი მწვრთნელი გახდა, ვინაც უცხოურ გუნდს („ბაიერნი“) ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ტრაპატონის სურათი ნათელი რომ გავხადოთ, ერთი იტალიური გამონათქვამი მოვიშველიოთ, რომელიც დონ ჯოვანის ძალიან უყვარს. იგი დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს: „ცხვარი კი ვარ, მაგრამ თუ გავცხარდი...“

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ

ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲛᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

სილვიო ბერლუსკონი

ᲑᲝᲚᲝ-ᲑᲝᲚᲝ, რა თქვა ასეთი იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ტელემაგნატმა და „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ, დინო ძოფის სამწვრთნელო კარიერა რომ შეიწირა და ლამის პოლიტიკური სკანდალი ააგორა?

აი, რა: „რა თქმა უნდა, შემეძლო, ხმაც არ ამომეღო იტალიის ნაკრების ევრო 2000-ზე გამოსვლაზე. თუ ბოლო წლების ნაკრების თამაშებს გადავხედავთ, იქნებ ეს მიღწევაც იყოს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, მეტიც, აღშფოთებული და შეძრწუნებული ვარ. რომ არ მეთქვა, არ შეიძლებოდა და მიზანშეწონილად ჩავთვალე, გამომეხატა ჩემი გულისტკივილი, რომელიც მძიმე ლოდად მაწვა.

კარგით, ჩვენ შეგვეძლო ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოგება, მეტიც, უნდა მოგვეპოვებინა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ვთქვათ, რა ხდებოდა მინდორზე და რამ გამოიწვია ასეთი სავალალო შედეგი“. აქ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ბერლუსკონის ფაბიო კანავაროს წინააღმდეგ მარსელ დესაის უხეში თამაში შეახსენა: „არა, ეს მხოლოდ ფრანგი მცველის არასპორტულ საქციელზე მეტყველებს. დესაიმ, როცა მიხვდა, რომ კანავაროსთან მინი-დუელს აგებდა, მას ხელი ოდნავ ჰკრა. ეს იყო და ეს. მე მთლიანობაში იტალიის ნაკრების თამაშს ვგულისხმობ. ვერაფრით ამიხსნია, როგორც შეიძლებოდა ზინედინ ზიდანის დარი ფეხბურთელისთვის სივრცის მიცემა. იგი ხომ ფრანგების ყველა შეტევის სულისჩამდგმელი გახლავთ. ფლანგებიდან თუ მოედნის შუაგულიდან, ყველა შეტევა მისგან იწყებოდა. ჩვენგან კი არავინ აღმოჩნდა ისეთი, მისი შეჩერება ეცადა. ნაკრებში ვერავინ მოისაზრა, ზიდანისთვის პერსონალური მეურვე მიემაგრებინა. დილეტანტიც კი მიხვდებოდა იმას, რომ მეტოქის ლიდერის ამოკეტვა სარგებელს მოიტანდა. ჩვენები კი ამ დროს რას აკეთებდნენ? მიიღებდა ზიდანი ბურთს და მას შორიდან შესცქეროდნენ, აბა, ახლა რას იზამსო. ამიტომაც თამამად ვაცხადებ, საფრანგეთთან ფინალი არაპროფესიონალიზმმა წაგვაგებინა. ვუყურებდი ჩვენების თამაშს და სიბრაზისგან ვყვიროდი, ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ ვერ ხედავთ, რა ხდება-მეთქი“.

ბოლოს „მილანის“ პრეზიდენტს ჰკითხეს, მაინც როგორ შეაფასებთ ნაკრების გამოსვლასო. „ვერავინ იტყვის, რომ ფორტუნამ ზურგი გვაქცია. პირიქით, გაიხსენეთ, ჰოლანდიასთან მატჩში ვის უფრო ჰქონდა იღბალი? ჩვენს პრობლემად ის მიმაჩნია, რომ უჭკუობა და უცოდინარობასთან გვაქვს საქმე. აი, ეს გახლავთ ჩემი აზრი. დინო ძოფს, როგორც პიროვნებას, არაფერს ვემართლები, მე მხოლოდ ნაკრების ტაქტიკა გავაკრიტიკე“.

...ბერლუსკონიმ ძოფი „გადააყენა“ და იტალიის ნაკრების მწვრთნელის პოსტისკენ ჯოვანი ტრაპატონის გაუხსნა გზა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲥᲕᲔᲚᲝ...

ᲚᲣᲘᲡ ᲕᲐᲜ ᲒᲐᲐᲚᲘ „ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ და იტალიური ფეხბურთის მამების მსგავსად, ჰოლანდიელებმაც სანაკრებოდ მოიცალეს და...

48 წლის ლუის ვან გაალი ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ამსტერდამის „აიაქსისა“ და ესპანური „ბარსელონას“ ყოფილმა თავკაცმა გუნდიდან საკუთარი ნებით წასული ფრანკ რაიკარდი შეცვალა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, ნაკრები რომ მანდეს. ჩემი ოცნება ასრულდა. ყოველთვის მსურდა, ჰოლანდიის ნაკრები გამეწვრთნა. დიდი მადლობა ნდობისთვის“ — განაცხადა ამსტერდამში დაბადებულმა სპეციალისტმა.

ეს ამბავი გუშინ მოხდა. ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას ბევრი არც უფიქრია. ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად სწორედ ვან გაალი ითვლებოდა. მართალია, აქა-იქ „მფრინავი ჰოლანდიელის“ იოჰან კრუიფის „სახელმაც გაიჟღერა, მაგრამ...

ვან გაალის, როგორც ფეხბურთელის, კარიერა არცთუ სახელიანი გამოდგა. მას უთამაშია ბელგიურ „ანტვერპენში“, ბავერვიკის „ტელსტაარში“, როტერდამის „სპარტაში“, ალკმარის „აზ-67“-ში და „აიაქსში“.

პოპულარული კი ვან გაალი 1991 წლიდან გახდა. მანამდე „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, თავად გახდა თავკაცი და... 1995 წელს „აიაქსმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო, სამი წლით ადრე უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი. ჰოლანდიის ჩემპიონობაზე და თასებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, ვან გაალის „აიაქსმა“ მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, 97-ში კი მან კატალონიის სიამაყეს, „ბარსელონას“ მიაშურა — ორჯერ ჩემპიონობა და თასი, ევროპის სუპერთასი... წლეულსაც საჩემპიონოდ ემზადებოდა და ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც ეშურებოდა, თუმც ამაოდ... ხოსეპ ლუის ნუნიესი მას ემხრობოდა, მაგრამ პრეზიდენტი თავად გადადგა და ვან გაალმაც გაცლა ამჯობინა.

ლუის ვან გაალი: ოცნება ავისრულე

ერთხანს გერმანიის ნაკრების მწვრთნელობასაც სთავაზობდნენ, მაგრამ თქვა, გმადლობთ, მაგრამ გერმანიას უფრო გერმანელი გამოადგებაო. პრინციპს არ უღალატა — ჰოლანდიას ჰოლანდიელი გაწვრთნის.

დასრულდა ფრანკ რაიკარდის ერა. ახლა ვან გაალის დროა, სულ ცოტა, ექვსი წლით, ასეთია კონტრაქტის პირობა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

მოთელვა იტალიურად

აწ უკვე ინტერელი ჰაქან შუქური კარგ ხალხშიც იტრიალებს: მარჯვნივ თვით ჯიაციინტო ფაჯეტი ამოსდგომია, მარცხნივ კი გაბრიელე ორიალი

თურქის დანაპირები

ჰაქან შუქური უკვე ინტერელია. „გალათასარაის“ ფეხბურთელმა ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი. ჰაქანისთვის იტალია უცხო ქვეყანა როდია, იგი ადრე „ტორინოს“ ღირსებას იცავდა, მაგრამ მაშინ თავი ვერაფრით გამოიჩინა. სამშობლოში დაბრუნებისას მას უთქვამს, სერია A-ში ისევ ჩამოვალ და რომელიმე დიდ კლუბში ვითამაშებო.

თურქმა პირობა შეასრულა. „გალათასარაიში“ ჩატარებული წარმატებული სეზონის შემდეგ ჰაქანი მარჩელო ლიპიმ მოიწონა და თავის ვარსკვლავებით სავსე გუნდში ჩარიცხა.

„ინტერში“ ბევრი ძლიერი ფორვარდია, მაგრამ გუნდს ტრავმები შეეჩვია და ორი უძლიერესი თავდამსხმელი — კრისტიან ვიერი და რონალდო დაშავდა. შეტევის ხაზში ახლა ალვარო რეკობა, ივან სამორანო და ადრიან მუტუ თამაშობენ, მათთან კონკურენციაში ჰაქანს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, ალბათ, არ უნდა გაუჭირდეს.

„მომწონს, როცა ძლიერ გუნდში თამაშობ და ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად იბრძვი. ეს სტიმულია და მეტს ინდომებ — განაცხადა თურქმა — მჯერა, გუნდს მოვერგები და მასთან ერთად განვახორციელებ მაღალ მიზნებს. მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას და „ინტერის“ მაისურით თამაშს“.

28 წლის ჰაქანმა „გალათასარაიში“ 234 შეხვედრა ჩაატარა და 173 გოლი გაიტანა, იგი სტამბოლური კლუბის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მან ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშა და არცთუ ურიგოდ. თურქეთის ნაკრები ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხვდა მეოთხედფინალში, ამაში ჰაქანმაც დაიდო დიდი წვლილი.

შუქურს „გალათასარაისთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და „ინტერში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით უნდა გადასულიყო. გუნდები ფინანსურ დეტალებს არ ამხელენ, იტალიური პრესა კი იუწყება, რომ „ინტერმა“ სტამბოლურ კლუბს საკომპენსაციოდ 6 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ჰაქანის გარდა „ინტერში“ სულ ახლახან კიდევ ერთი მოთამაშე ჩაირიცხა. მარჩელო ლიპიმ „ვერონას“ 24 წლის ნახევარმცველი კრისტიან ბროკი შეიძინა. ფეხბურთელმა თავისი პროფესიული კარიერა 6 წლის წინ მეორე მილანურ კლუბში, „მილანში“ დაიწყო, მაგრამ გუნდი მალე გამოიცვალა და „ვერონას“ მიაშურა, სადაც 5 სეზონი დაჰყო.

„ინტერმა“ მცველი მიკელე სერენა „პარმასგან“ საბოლოოდ 3 მილიონ გირვანქად იყიდა. ფეხბურთელი მილანში იანვრის შემდეგ თამაშობდა, „ინტერმა“ იგი „პარმას“ პორტუგალიელ პაულუ სოუზაში გაუცვალა. ლიპიმ საბოლოოდ გადაწყვიტა სერენას შეძენა.

მილანური კლუბიდან მეკარე ანჯელო პერუცი წავიდა, „ინტერმა“ იგი ლაციოელ მარკო ბალოტაში გაცვალა და დამატებითი თანხაც მიიღო. სერია A-ში ახალგადასულ „ნაპოლიში“ ითამაშებენ ფრანჩესკო მორიერო და სალვატორე ფრეზი. ეს ფეხბურთელები მილანური კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდნენ და ლიპიმ მათი გაშვება ამჯობინა.

მილანის ჩვეული პოლიტიკა

ახალი სეზონი ისე არ დაიწყება, „მილანმა“ ერთი-ორი ფეხბურთელი არ შეიძინოს და შემადგენლობა არ გადაახალისოს. არც წლევანდელი სეზონია გამონაკლისი. „სან სიროზე“ რამდენიმე ახალწვეულს ელიან. „მილანში“ ბრაზილიელი მეკარე დიდა დაბრუნდება. ალბერტო ძაკერონიმ იგი ერთი წლის წინ „კორინთიანსიდან“ იყიდა, მაგრამ გუნდში ორი ძლიერი გოლკიპერი — სებასტიანო როსი და კრისტიან აბიატი უკვე ირიცხებოდა, ამიტომ მილანელებმა დიდა შვეიცარიულ „ლუგანოში“ გაანათხოვრეს. მაგრამ ბრაზილიელს იქ არც უთამაშია, მან „კორინთიანსში“ დაბრუნება არჩია და ერთი სეზონი სამშობლოში გაატარა.

ახლა დიდა კვლავ „მილანშია“ და ახალი სეზონიდან სერია A-ში იასპარეზებს.

„მიხარია, რომ „მილანში“ დავბრუნდი. მჯერა, გუნდში დიდ წარმატებებს მივაღწევ. ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად შრომა მომიწევს, კრისტიან აბიატი და სებასტიანო როსი ხომ ძლიერი მეკარეები არიან. ყველაფერი მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ჩვენს შორის საუკეთესო ფორმაში მყოფი შეარჩიოს და ის ათამაშოს“ — განაცხადა დიდამ.

ბრაზილიელმა თანამედროვე და წარსულში ცნობილ მეკარეებზეც ისაუბრა: „დინო ძოფი მართლაც ლეგენდარული გოლკიპერი იყო, მისი თამაშების ვიდეოჩანაწერების ნახვა ერთ რამედ ღირს, ვიცი, რომ 1982 წელს ბრაზილიასთან ითამაშა. დღეს სერია A-შიც არიან ძლიერი კარის დარაჯები — ტოლდო, ბუფონი, აბიატი...“

ახალი სეზონიდან „მილანში“ 29 წლის იუგოსლავიელი ნახევარმცველი დრაჟენ ბრნჩიჩიც გამოჩნდება. ალბერტო ძაკერონიმ იგი „მონცადან“ გადაიბირა. ბრნჩიჩი ევროკავშირის მოქალაქეა, 1997 წლიდან ბელგიურ პასპორტს ფლობს და ევროკავშირული ლიმიტი მასზე არ იმოქმედებს.

„როცა „მონცას“ დირექტორმა მითხრა, რომ დიდ კლუბში მეპატიჟებოდნენ, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს „მილანი“ იქნებოდა — თქვა იუგოსლავიელმა — უზომოდ გავიხარე, „მილანი“ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, აქ თამაში ყველა ფეხბურთელისთვის საამაყოა“.

ბრნჩიჩი ბელგიურ „შარლერუაში“ თამაშობდა, ორი წლის წინ იგი იტალიაში გადავიდა და სერია B-ში მოასპარეზე „კრემონეზეში“ ჩაირიცხა, შემდეგ კი „მონცას“ მიაშურა.

დრაჟენი შემტევი ნახევარმცველია, წინა სეზონში მან გუნდში 37 შეხვედრა ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა. იუგოსლავიელს თავის იდეალად ზვონიმირ ბობანი მიაჩნია, იგი აღფრთოვანებულია „მილანის“ ნახევარმცველის თამაშით, თუმცა პირადად არასდროს შეხვედრია.

„მილანის“ კიდევ ერთი ახალშენაძენი სამხრეთამერიკელი როკე ჟუნიორია. ძაკერონის იგი „პალმეირასმა“ დაუთმო.

„ბედნიერი ვარ, რომ „მილანში“ გადმოვედი — აცხადებს 24 წლის ბრაზილიელი — მსურს, გუნდში თავი გამოვიჩინო და წარმატებებს მივაღწიო. როცა ეს წინადადება მივიღე, თანამემამულეებს აზრს დავეკითხე. ლეონარდომ, სერჟინიომ და ალდაირმა სერია A-ში თამაში მირჩიეს“.

პარმას ახალშენაძენები

„პარმამ“ 1995 წელს გაშვებული მცველი ჯანლუკა ფალსინი დაიბრუნა. ფეხბურთელმა ხუთი სეზონი სხვადასხვა კლუბში გაატარა, „მონცას“, „პადოვას“, „ვერონას“ ღირსებას იცავდა.

„როცა პირველად „პარმაში“ ვთამაშობდი, ერთობ ახალგაზრდა ვიყავი — თქვა 24 წლის ფეხბურთელმა — თუმცა ძალიან კმაყოფილი ვარ, ამ გუნდმა პროფესიონალად მაქცია. ახლა ვგრძნობ, რომ ძლიერ გუნდშიც შემიძლია თამაში“.

ცოტა ხნის წინ „პარმაში“ „ბორდოს“ ნახევარმცველი იოან მიკუც გადავიდა, ფეხბურთელმა ახლახან ოფიციალური პრესკონფერენციაც მოაწყო. „პარმაში“ თამაში სასიხარულოა — განაცხადა მიკუმ — ლილიან ტურამისგან ამ კლუბზე მხოლოდ კარგი მსმენია. ბევრი სახელოვანი ფეხბურთელის გვერდით მომიწევს თამაში. ვიმედოვნებ, რომ იტალიაში დიდ გამოცდილებას შევიძენ. სერია A მსოფლიოში უძლიერესი ლიგაა“.

ფინალის გმირი

ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამატებითი ტაიმი, 103-ე წუთი, იტალია — საფრანგეთი — 1:1. რობერ პირესი ფლანგიდან შევიდა და აპენინელთა საჯარიმოში ჩაწოდა. ბურთს დავიდ ტრეზეგე დახვდა და ეფექტური, უძლიერესი დარტყმით იტალიელთა კარი დალაშქრა.

ფინალის გმირი ამიერიდან ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას დაიცავს. „ბებერმა ქალბატონმა“ ფორვარდი „მონაკოდან“ შეიძინა. ტრეზეგემ სამედიცინო შემოწმება გაიარა და გუნდის მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შეხვდა. ამის შემდეგ ფრანგმა პრესკონფერენციაც გამართა.

„ჩემი მოვალეობა გოლების გატანაა, შევეცდები, ყველაფერი პირნათლად შევასრულო — განაცხადა ტრეზეგემ — ტურინში ჩამოვედი, რათა გუნდში ადგილი დავიმკვიდრო, ძლიერად ვითამაშო და ბევრი ტიტული მოვიგო. თუმცა არავის არაფერს ვპირდები. ყველაფერს საქმით დავამტკიცებ“.

ფრანგმა ისიც თქვა, რომ მისი კერპი არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტაა და მოუთმენლად ელის მის წინააღმდეგ თამაშს.

ნიკა ზუბლაძე

დავიდ ტრეზეგეს იუვენტუსელობას კლუბის გენერალური მდივანი ლუჩანო მოჯი ულოცავს

ეფენბერგი და ბასლერი ბუნდესნაკრებში

დაბრუნდებიან განდეგილნი?: შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი

მართალია, გერმანიის ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი რუდი ფიოლერი მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტან შტეფან ეფენბერგს ნაკრებში დაბრუნების თაობაზე ჯერ არ დალაპარაკებია, მაგრამ „ეფე“ შესაძლოა თავად დაბრუნდეს ბუნდესნაკრებში.

ეფენბერგი ქვეყნის პირველი გუნდიდან ორჯერ წავიდა. ერთხელ გააგდეს — 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბულგარელებთან მატჩის შემდეგ მაყურებლებს უხამსი ჟესტი უჩვენა, მეორედ კი თავისი სურვილით მიატოვა ნაკრები, მინდა, დრო ოჯახს დავუთმო, ჩემი სანაკრებო კარიერა დასრულდაო, მაგრამ...

„ჯერ მომეცით საიმისო დრო, რომ სასურველი ფორმა აღვიდგინო, სეზონის დაწყებამდე კარგად მოვემზადო, მერე კი ვნახოთ და დავბრუნდები თუ არა, სერიოზულად მაშინ გადავწყვეტ ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს, აჩქარება არაფერს მარგებს. გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, ერთი მხრივ, გაჭირვების ჟამს ნაკრებისთვის უარის თქმა ძნელია, მეორე მხრივ, არ მსურს, ჩემი პირვანდელი გადაწყვეტილება გადავთქვა“ — განუცხადა ეფენბერგმა ერთ-ერთ ჟურნალისტს.

რაც შეეხება ფიოლერს, მას ფეხბურთელთა შემოსარიგებლად ორი თვეღა რჩება, მერე კი იაპონია-კორეის 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება. გერმანელები 2 სექტემბერს საბერძნეთს შეხვდებიან. ფიოლერიც იმედიანადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ ეფენბერგი ბუნდესნაკრებში დაბრუნდება, ისევე, როგორც მეორე განდეგილი, მარიო ბასლერი. რას გადაწყვეტს „კაიზერსლაუტერნის“ „სუპერმარიო“, უცნობია, თუმცა, ალბათ, არც იგი დაალალატებს ახალ მწვრთნელს. აკი თავად სთხოვდა ევრო 2000-ის დაწყებამდე ერიხ რიბეკს, უნაკრებოდ ნუ დამტოვებო.

ახლა ფიოლერის დროა. მავანი იფიქრებს, ესეც ძველი კურსის მიმდევარია, ვეტერანებისკენ იმზირებაო. თუმცა შტეფან ეფენბერგისა და მარიო ბასლერის დარი ფეხბურთელები ბუნდესნაკრებს, დამეთანხმებით, ალბათ მაინც სჭირდება. ერთი სიტყვით, ცოტა ხანიც მოვიცადოთ.

გიორგი ვაშაკიძე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი დინო ძოფის კრიტიკას რომ მორჩა, ახლა კლუბსაც დაუბრუნდა და განაცხადა, კვლავაც „სუპერმილანის“ ხილვა მწადია, ამისათვის კი კრისტიან პანუჩი, ლილიან ტურამი, რივალდო, ფილიპო ინძაგი და დეივიდ ბექემი უნდა გადმოვიყვანოო. პანუჩის საქმე თითქმის გადაწყვეტილია. იგი საკარაუდოდ გუნდში დაბრუნდება. ტურამის სანაცვლოდ ბერლუსკონიმ „პარმას“ 20 მილიონი დოლარი შესთავაზა და ზედაც ოლივერ ბირჰოფს ამატებს. რივალდოს თაობაზე „მილანი“ „ბარსელონას“ პრეზიდენტის არჩევნებს ელოდება, ახალ ხელმძღვანელობას 23 ივლისის შემდეგ დაველაპარაკებიო. რაც შეეხება ინძაგის და ბექემს, „იუვენტუსის“ გენერალური მდივნის, ლუჩანო მოჯის განცხადებით, პიპოს 2004 წლამდე აქვს გუნდთან კონტრაქტი და მის გაშვებას არ აპირებენ. რას მოიმოქმედებს ბერლუსკონი, არავინ იცის, უცნობია აგრეთვე „მანჩესტერის“ პოზიციაც. გაჰყიდის კი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ალექს ფერგიუსონი. ამასობაში „მილანიდან“ წასვლა მცველებმა — ლუიჯი სალამ და არგენტინელმა რობერტო აიალამ ისურვეს. სალას „ატალანტა“ ეპატიჟება, აიალას — „ვალენსია“. შეგახსენებთ, აქამდე „მილანიდან“ მაურიციო განცი, პიერლუიჯი ორლანდინი, მირკო სადოტი და ჟორჟ ვეა წავიდნენ.

ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ალონსო „ვალენსიაში“ გადავიდა. არგენტინული „ხიმნასია ლა პლატას“ ფეხბურთელმა ექტორ რაულ კუპერის გუნდთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მომავალ სეზონში ვალენსიელთა თავდასხმაში ნორვეგიელი იონ კარეუ და დიეგო ალონსო ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ესპანური კლუბი კლაუდიო ლოპესმა დატოვა. არგენტინელი ფორვარდი ახლა რომის „ლაციოშია“.

იტალიელ ნახევარმცველ სტეფანო ფიორეს ტურინის „იუვენტუსმა“ დაადგა თვალი. „უდინეზეს“ ფეხბურთელის თავისთან ხილვა მილანის „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატისაც სურს, მაგრამ... „უდინეზე“ უარს არაა, ფიორე გუნდიდან გაუშვას, ოღონდ ერთი პირობით, თუ ტურინელები იუგოსლავიელ ფორვარდ დარკო კოვაჩევიჩს დაუთმობენ. „იუვენტუსის“ გენერალური მდივანი ლუჩანო მოჯი აგერ უკვე რა ხანია, ნახევარმცველის ძებნაშია. მან „არსენალსაც“ მიმართა, თქვენი პატრიკ ვიეირა მოგვყიდეთო, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. ახლა რას გადაწყვეტს, დათანხმდება თუ არა კოვაჩევიჩის გაცვლას, უცნობია. რაც შეეხება ფიორეს, „უდინეზეს“ მის თაობაზე უკვე მესამე კლუბმა მიმართა, პირველი „მილანი“ იყო, მერე „ინტერი“, ახლა „იუვენტუსის“ ჯერია.

ესპანურ „ალავესს“ ხორდი კრუიფისთვის დაუდგამს თვალი. ლეგენდარული იოჰან კრუიფის ვაჟს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. „ხორდის გადმობირება განვიზრახეთ, იგი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია და ძლიერ გუნდებში თამაშის გამოცდილება აქვს“ — განაცხადა „ალავესის“ პრესატაშემ. შეგახსენებთ, რომ უმცროსი კრუიფი „ბარსელონაში“ თამაშობდა, ოთხი წლის წინ მან კატალონია დატოვა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩარიცხეს, თუმცა თავი ვერ გამოიჩინა და მხოლოდ შეცვლებზე შედიოდა. 1998-99 წლის სეზონი ხორდიმ „სელტაში“ გაატარა, ვიგოური კლუბში მან ხუთი თვე დაჰყო.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	რუსეთი. მე-16 ტური			
	8 ივლისი			
001	კრილია-ლოკომოტივი 18.00	4,4	2,8	1,7
002	დინამო-ჩერნომორეცი 18.00	1,8	2,9	4,2
003	ნ.ნოვგოროდი-ტორპედო 18.00	4,0	3,0	1,8
004	როტორი-როსტსელმაში 18.00	1,9	2,9	3,6
005	ფაკელი-ალანია 18.00	2,5	2,9	2,5
006	სპარტაკი-ურალანი 18.00	1,1	6,0	12,0
007	სატურნი-ცსკა 18.00	1,9	2,9	3,6
	შვედეთი. მე-10 ტური			
	9 ივლისი			
008	ტრელებორგი-გაის	1,55	3,4	5,0
	10 ივლისი			
009	აიკ-სუნდსვალი	1,45	3,5	6,0
010	ელფსბორგი-იორებრო	2,0	3,0	3,3
011	ჰაკენი-ჰამარბი	2,7	3,0	2,3
	ნორვეგია. მე-13 ტური			
	9 ივლისი			
012	ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი	1,4	3,6	6,5
013	ოდ გრენლანდი-ბრინი	1,5	3,6	5,0
014	რუსენბორგი-მოსი	1,25	4,4	8,0
015	სტარტი-ვოლერენგა	2,3	3,0	2,7
016	ტრომსიო-ბოდიო გლიმტი	1,75	3,1	4,0
017	მოლდე-ბრანი	2,3	3,0	2,7
	ინტერტოტო. II ეტაპი. II მატჩები			
	8 ივლისი			
501	მოგილიოვი (ბელარუსი)-ბლშანი (ჩეხეთი)	2,3	2,9	2,7
502	ჩაჰლაული (რუმინეთი)-მალიორკა (ესპანეთი)	2,6	2,9	2,4
503	ლეიფტური (ისლანდია)-სედანი (საფრანგეთი)	4,0	3,0	1,8
504	ფრიოლუნდა (შვედეთი)-პელისტერი (მაკედონია)	1,5	3,4	5,6
505	სლავენი (ხორვატია)-ზაგლებე (პოლონეთი)	1,9	2,9	3,6
506	ციბალია (ხორვატია)-ტატაბანია (უნგრეთი)	1,7	3,1	4,4
507	სიგმა (ჩეხეთი)-ველბაჟდი (ბულგარეთი)	1,5	3,4	5,6
508	ზალცბურგი (ავსტრია)-უნისპორტი (მოლდოვა)	1,25	4,4	8,0
509	აუსტრია (ავსტრია)-ნეა სალამინა (კვიპროსი)	1,3	4,0	7,5
510	ოსერი (საფრანგეთი)-სტაბეკი (ნორვეგია)	1,3	4,0	7,5
511	სტანდარდი (ბელგია)-პერუჯა (იტალია)	2,5	2,9	2,5
	9 ივლისი			
512	ოლბორგი (დანია)-დინაბურგი (ლატვია) 18.00	1,3	4,0	7,5
513	ბრედფორდი (ინგლისი)-ატლანტასი (ლიტვა)	1,2	5,0	9,0
514	დუკლა (ჩეხეთი)-ლინცერი (ავსტრია)	1,7	3,0	4,7
515	პრიმორიე (სლოვენია)-ზენიტი (რუსეთი)	2,4	2,9	2,6
516	შტუტგარტი (გერმანია)-ქსამაქსი (შვეიცარია)	1,3	4,0	7,5
	მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.			
	8 ივლისი			
517	ზამბია-ტოგო 18.00	1,6	3,1	5,3
518	სიერა ლეონე-განა	4,0	3,3	1,7
519	ტუნისი-მადაგასკარი	1,4	3,5	6,0
	9 ივლისი			
520	ზიმბაბვე-ს.აფრიკა	4,0	3,0	1,8
521	კამერუნი-ანგოლა	1,3	4,0	7,5
522	დრ კონგო-კონგო	1,9	3,0	3,5
523	ლიბერია-ნიგერია	4,0	3,3	1,7
524	მაროკო-ალჟირი	1,5	3,4	5,6
525	სენეგალი-ეგვიპტე	2,9	3,0	2,2
526	ბურკინა ფასო-გვინეა	1,8	2,9	4,2

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ ფანატლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

აბა, კარგი აგენტები!

იყიდება დანკანი, ჰილი, როუზი!..





ტიმ დანკანი (№21) და გრანტ ჰილი: ყველაზე ძვირი საქონელი

დიდი ხანი არაა, რაც პლეიოფი დამთავრდა. გრძელი, მომქანცველი სეზონის შემდეგ ნავჯაფარი მოთამაშეები ისვენებენ და ძალებს იკრებენ. მომავალი სეზონი ოქტომბრის ბოლოს დაიწყება, მაგრამ ვერავინ იტყვის, იქამდე ერონულ საკალათბურთო ასოციაციაში ცხოვრება ჩაკვდაო. ზაფხული დიდი ძვრების დროა. მწვრთნელებით უკმაყოფილო კლუბები ათავისუფლებენ ძველებს, იწვევენ ახლებს. ერთი კვირის წინ მინეაპოლისში დრაფტი ჩატარდა და ნბა-ში სტუდენტურ კალათბურთში თუ სხვა ლიგებში გამოწრთობილი ბიჭების ახალი ნაკადი მივიდა. და რაც ყველაზე მთავარია, გაჩაღდა დიდი ნადირობა თავისუფალ აგენტებზე, რომელთა კონტრაქტებს ამ ზაფხულს ვადა გაუვიდა და ახლა ისინი ახალი, უფრო სარფიანი ხელშეკრულებების მოლოდინში არიან. თუ თავად მოთამაშეები უსაქმოდ არიან, მათ აგენტებს და მსურველ კლუბებს ცხრაპირი ტყავი ძვრებათ.

წლეულს უჩვეულოდ მდიდარი და მრავალფეროვანია თავისუფალ აგენტთა ბაზარი. აქ ისეთ ხალხს შეხვდებით, რომელთაც ნებისმიერი მწვრთნელი დიდი სიამოვნებით იხილავდა საკუთარ გუნდში. მათგან უპირველესნი ტიმ დანკანი, გრანტ ჰილი, ჯალენ როუზი, ედი ჯონსი არიან. მაგრამ კარგ მოთამაშეს კარგი მადაც აქვს და ყველა კლუბს არა აქვს საშუალება, მათი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. მართალია, ჯამური ხელფასების ზღვარი ყველასთვის ერთია, მაგრამ უკვე დაკომპლექტებულ გუნდებს, სადაც თანხები დანაწილებულია, კიდევ ერთ სუპერვარსვლავზე ხელი არ მიუწვდება — აქ უპირატესობა იმ კლუბების მხარესაა, რომელსაც წინა წლებში გასაცემი ფული დღემდე შემოუნახავს. ბუნებრივია, სასურველ კალათბურთელსაც ის შესთავაზებს ყველაზე მეტს. „ზედმეტი“ ფული უფრო ორ კლუბს — „ჩიკაგო ბულზსა“ და „ორლანდო მეჯიქს“ „აწუხებს“. ბაზარზე ყველაზე გაცხოველებულ ვაჭრობასაც სავარაუდოდ ეს ორი გააჩაღებს.

ჯერჯერობით უფრო ყოჩაღად „ორლანდო მეჯიქი“ გამოიყურება. ბოლო ორი წლის განმავლობაში გაფორმებულმა კლუბისთვის სარფიანმა (მოთამაშეთათვის — პირიქით) კონტრაქტებმა „მეჯიქს“ წლევანდელ სახელფასო ფონდში ერთბაშად 20 მილიონი დოლარი გამოუთავისუფლა. ამ თანხით რამდენიმე მძლავრი კალათბურთელის ხელში ჩაგდება შეიძლება და „ორლანდოც“ დროსა და ფულს ტყუილად არ ფლანგავს. ფლორიდელებმა დრაფტშიც ერთობ იაქტიურეს და პირველი, რაც მას შემდეგ გააკეთეს, ისაა, რომ დეტროიტელ თავისუფალ აგენტს, ლიგის უძლიერეს ფრთას, გრანტ ჰილს მოელაპარაკნენ. ეს საქმე თითქმის მოგვარებულია, ჩავთვალოთ, რომ ჰილი უკვე ორლანდოელია. თუმცა არის მცირე შანსი, იგი კიდევ ერთი წლით დეტროიტში დარჩეს. დეტროიტელებს იმის იმედი აქვთ, რომ ჰილი კლუბის ახალდანიშნულ პრეზიდენტ ჯო დუმარსს არ გაწირავს და თავისი წასვლით ადმინისტრაციული კარიერის დებიუტს არ გაურთულებს. დუმარსი და ჰილი უახლოესი მეგობრები არიან, მეტიც, დუმარსი ჰილისთვის, ფაქტობრივად, უფროსი ძმაა იმ დროიდან მოყოლებული, რაც ჰილი „დეტროიტში“ მივიდა. ამ ამმავალმა და ჩამავალმა ვარსკლავებმა ხუთი სეზონი ერთად გაატარეს და „პისტონზის“ ფანები იმედოვნებენ, იქნებ ჰილი ძველი მეგობრის ხათრით მაინც დარჩეს „დეტროიტშიო“. თუმც ეს მხოლოდ და მხოლოდ მათი სურვილია. ჰილს კი გარემოს გამოცვლა სურს და თავს უკვე ორლანდოელად თვლის. სავარაუდოდ იგი თავის ახალ კლუბთან ექვსწლიან და 67,5-მილიონიან კონტრაქტს გააფორმებს. ის კი არა, ორლანდოს ხელმძღვანელობა ჰილს სთხოვს, იქნებ ტიმ დანკანი დაიყოლიო, ჩვენთან გადმოვიდესო.

ტიმ დანკანი ყველაზე დიდი თევზია, რომლის დაჭერაც ამ მღვრიე წყალში შეიძლება. ვინღა არ იბრძვის მის დასაუფლებლად. კალათბურთელის გუნდ „სან ანტონიოს“ გარდა მასზე პრეტენზიას „ორლანდო“ აცხადებს, არც „ჩიკაგო“ უნდა დაგვავიწყდეს. მხოლოდ ეს სამია დანკანისთვის მეფური გასამრჯელოს გადამხდელი. თუმც „ჩიკაგოს“ ვარიანტი ალბათ უნდა გამოვრიცხოთ, რადგან თავად კალათბურთელს იქ თამაში არ სურს. რჩება ორი გუნდი — „სფურზი“ და „მეჯიქი“. თვითონ დანკანს მშობლიური „სფურზი“ ურჩევნია, ოღონდ კონტრაქტსაც გააჩნია.

„ფულზე დაბარბებული არ ვარ, მაგრამ ჩემი პირობებიც უნდა გაითვალისწინონ“ — ამბობს ტიმი. თუ „სან ანტონიომ“ თავის ლიდერს სეზონში ხუთი მილიონი შესთავაზა, ეს დანკანისთვის შეურაცხყოფა იქნება. იგი სულ ცოტა ორ ამდენს მოითხოვს და ღირს კიდეც. „სფურზს“ აქვს საშუალება, ამდენი გადაუხადოს და ასეც უნდა გააკეთოს, თუ არ უნდა, რომ უახლოეს წლებში ჩემპიონობას გამოეთხოვოს. „ორლანდოს“ გენერალური მენეჯერი ჯონ გაბრიელი იხტიბარს მაინც არ იტეხს და დანკანს ჰილის თანაბარ პირობებს სთავაზობს. გაბრიელს, რომელიც „ორლანდოს“ ყოველი გარიგების სულისჩამდგმელია, სხვა გეგმებიც აქვს — მას ტორონტოელ ტრეისი მაკგრეიდზე უჭირავს თვალი. ესეც, ისევე როგორც გრანტ ჰილი, კმაყოფილია პირობებით და ერთი სული აქვს, „ორლანდოს“ მაისურა მოირგოს.

გაბრიელს სარეზერვო ვარიანტიც აქვს. თუ დანკანი ვერ მოიგდო ხელში, მაშინ მზადაა, შარლოტელ მსროლელ ედი ჯონსთან გამართოს მოლაპარაკება. ოღონდ ჯონსს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ იმდენივეს მიიღებს, რამდენსაც ჰილი ან დანკანი. თუ ჯონსისთვის უმთავრესი ფულია, ურჩევნია, ისევ „შარლოტში“ დარჩეს, რადგან საკუთარ გუნდზე მეტს მას ვერავინ გადაუხდის. ამასთან, „შარლოტსაც“ არ სურს, იმ გუნდის რეპუტაცია შეიქმნას, რომელსაც ვარსკვლავები არ უჩერდებიან. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „კრაზანებმა“ ხელიდან გაუშვეს ალონზო მურნინგი, ლარი ჯონსონი, კენი ანდერსონი, ვლადე დივაცი, გლენ რაისი და ბევრი სხვა. ახლა ჯონსიც რომ წავიდეს, „შარლოტი“ კარგა ხანს ფეხზე ვერ დადგება. კალათბურთელს „მაიამიც“ ეპატიჟება. არც ისაა გამორიცხული, „შარლოტმა“ და „მაიამიმ“ ჯონსი და ალონზო მურნინგი გაცვალონ.

დიდ გაწამწყაზია ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა“. დღესდღეობით მისი ამოცანა ძველი შემადგენლობის შენარჩუნებაა, ამიტომ სხვა მოგებიანი საფიქრალად ვერც იცლის. ამ ზაფხულში დაუმთავრდათ კონტრაქტი ჯალენ როუზს, რეჯი მილერს, მარკ ჯეკსონსა თუ რიკ სმიტსს. დავამატოთ დეილ დევისი და მივიღებთ ფინალისტი გუნდის სასტარტო შემადგენლობას. თავისუფალი აგენტია საუკეთესო სათადარიგო ოსტინ კროშერიც. ამდენად, კლუბის ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, ეს ხალხი არ დაეფანტოს. წასვლას აპირებს გუნდის ლიდერი რეჯი მილერი, მაგრამ მისი მსურველი ჯერ არ ჩანს. ალბათ, ყველა მისი ასაკის გამო იკავებს თავს. სამაგიეროდ, ახალგაზრდა ჯალენ როუზზეა დიდი მოთხოვნილება. მას „ჩიკაგო“ და „ორლანდო“ (თუ სხვა გარიგებები ჩაეშალა) იწვევენ. არის კიდევ რამდენიმე დასავლური კლუბი, მაგრამ ისინი აღმოსავლელთა კონკურენციას ვერ გაუძლებენ. თვითონ როუზი ჯერ არაფერს ამბობს, სავარაუდოდ, იგი მაინც „ინდიანაში“ დარჩება, რადგან ისე არავის სურს, როგორც ძველ გუნდს.

არც ფინალში ინდიანას მძლეველი „ლეიკერსია“ უქმად. ჩემპიონებმა სულ ახლახან ძირითადი თავდამსხმელი ეი სი გრინი გაუშვეს და ახლა მის შემცვლელად პორტლენდელი ბრაიან გრანტი შეუგულებიათ, რომელსაც სეზონში 2,5 მილიონს ჰპირდებიან. თუმცა გრანტს შესაძლოა თანხა ეცოტაოს და უარი თქვას. ჩემპიონთა მწვრთნელი ფილ ჯეკსონი კი მოხარული იქნება, თუ გაისად გლენ რაისს თავის გუნდში აღარ იხილავს. ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში რაისმა თავისი უსუსური თამაშით ჯეკსონს უამრავი პრობლემა გაუჩინა.

რაც შეეხება კიდევ ერთ ჯიბესქელ კლუბს, „ჩიკაგოს“, ის ჯერჯერობით „ორლანდოზე“ უფრო პასიურობს. ასე იგი ვერ დაისაკუთრებს დანკანს, ჰილს, როუზსა თუ მაკგრეიდს. ბაზარზე არც სხვა თავისუფალი აგენტების ნაკლებობაა, მაგრამ „ბულზი“ თითქმის არავისთან არ აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას. „ხარები“იქნებ იმიტომაც არ იწუხებენ თავს, რომ მათ ხელშია წლევანდელ თუ შარშანდელ დრაფტში აყვანილი ოთხი პერსპექტიული მოთამაშე. ფულიც შეინახება მომავალი წლისთვის. რაც მთავარია, „ჩიკაგოს“ გენერალურ მენეჯერად ჯერი კრაუზი ჰყავს და სალაროში თითქმის ორი ათეული მილიონი მოეძევება. ამ ორს ერთად კი ბევრი რამ შეუძლია. კრაუზემ თავის დროზე დიდი „ჩიკაგო“ ააშენა და მერე ერთი ხელის მოსმით დაანგრია. ახლა ახალი მძლავრი გუნდის შექმნის დროა, კრაუზე კი არ ჩქარობს. იგი მოგვიანებით იტყვის თავის სიტყვას, რომელსაც საკმაოდ დიდი წონა აქვს.

ზემოთ ლიგაში მოსალოდნელ ძვრებზე მოგახსენეთ, თუმცა ეს მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკებებია. კონტრაქტი ჯერ არავის გაუფორმებია, რადგან ლიგის კანონის თანახმად, 1 აგვისტომდე იკრძალება მოთამაშეებსა და კლუბებს შორის ყოველგვარი ხელშეკრულების დადება.

ბოლოს კიდევ ორი თავისუფალი აგენტიც ვახსენოთ; აიზია რაიდერი და დენის როდმანი მათი თამაშით თუ ყოფაქცევით უკმაყოფილო გუნდებმა სეზონის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დაითხოვეს. ჯერჯერობით მათი მსურველი არ ჩანს. ბუნებრივია, ამრევი და შფოთისთავი არავის უნდა.

ირაკლი ფირაფვილი

ბრეჟეცს ევროპაში აბრუნებენ

„ინდიანა პეისერზმა“ წლევანდელ დრაფტში 27-ე ნომრად 21 წლის სლოვენიელი ფორვარდ-ცენტრი პრიმოუ ბრეჟეცი აიყვანა. 210-სანტიმეტრიანმა კალათბურთელმა წინა სეზონი ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ გაატარა და კონტრაქტით კიდევ ორი წელი სლოვენიურ კლუბს ეკუთვნის. ბრეჟეცის თქმით, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაში მისი ბავშვობის ოცნება იყო. სლოვენიელის ოცნება, სულ მცირე ერთი სეზონით, ალბათ ისევ ოცნებად დარჩება.

„ინდიანას“ პრეზიდენტმა დონი უოლშმა ბრეჟეცს „განსწავლული, მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელი“ უწოდა. პრეზიდენტის აზრით, სლოვენიელს ლიგაში თამაშისთვის ყველა მონაცემი აქვს, უბრალოდ, ფიზიკური გაძლიერება სჭირდება. უოლში აცხადებს, რომ ბრეჟეცი, სავარაუდოდ, ერთი წლით ევროპაში დაბრუნდება და სეზონს „ოლიმპიაში“ გაატარებს, გაისად კი ინდიანაპოლისში ჩავა და „პეისერზთან“ კონტრაქტს გააფორმებს.

დრაფტში აყვანილი ევროპელი მოთამაშის ძველ კონტინენტზე დაბრუნების და მერე დასაკუთრების პრაქტიკა ასოციაციის გუნდებისთვის არახალია. ბევრ ევროპელს გაუვლია ეს გზა. მაგალითად თუნდაც ბრეჟეცის თანამემამულე რადოსლავ ნესტეროვიჩი მოვიყვანოთ. „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ მას დრაფტში აყვანიდან ერთი წლის შემდეგ გაუფორმა კონტრაქტი. შუალედში კი ნესტეროვიჩი იტალიურ „კინდერში“ თამაშობდა. „ინდიანას“ მომავალ სეზონში გადახალისება ელის. ახალგაზრდები, ელ ჰარინგტონი, ჯონათან ბენდერი და ჯეფ ფოსტერი მოედანზე უფრო მეტ დროს გაატარებენ. ცხადია, მათთვის კიდევ ერთი ახალგაზრდის, თანაც ევროპელის დამატება დიდი რისკია. ამდენად, ეს გახლავთ ბრეჟეცის ევროპაში გამოსტუმრების ერთი მიზეზი.

დონი უოლში დრაფტის დღეს პრიმოუ ბრეჟეცს „ინდიანას“ მაისურას გადასცემს

მეორე მიზეზი კი ბრეჟეცის და „ოლიმპიას“ ურთიერთობაა. კალათბურთელის კონტრაქტი წელიწადში ასი ათას დოლარადაა შეფასებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრეჟეცმა ორი სეზონი ლიუბლიანაში უნდა დაჰყოს, მაშინ „ინდიანას“ მისი გამოსყიდვა ორასი ათასი დოლარი დაუჯდება. იქნებ ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ ნბა-ს წესების მიხედვით, „ინდიანამ“ ეს ფული მოთამაშეთა ჯამური ხელფასის ფონდს უნდა მოაკლოს. გაისად კი ბრეჟეცის კონტრაქტის გამოსყიდვა ასი ათასი დოლარი ეღირება. სხვათა შორის, „ოლიმპიასთან“ დაკავშირებით იგივე პრობლემა ჰქონდა ვლადიმერ სტეფანისაც. სლოვენიურმა კლუბმა ქართველ ცენტრს ძალიან მაღალი ფასი დაადო, მაგრამ „სიეტლ სუპერსონიქსმა“ იგი 350 ათას დოლარამდე ჩამოიყვანა.

თუმცა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ბრეჟეცმა წლეულსვე იოამაშოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მალე „პეისერზი“ ატლანტისა და ბოსტონის „საზაფხულო ლიგის“ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. უოლშის თქმით, თუკი ბრეჟეცი აქ განსაკუთრებით გამოიჩენს თავს, მაშინ მის დატოვებაზე იფიქრებენ. სლოვენიელის შანსები იმ შემთხვევაშიც გაიზრდება, თუკი „ინდიანას“ ჰოლანდიელი ცენტრი რიკ სმიტი კალათბურთიდან წასვლას გადაწყვეტს.

თავად ბრეჟეცს, ცხადია, „ინდიანაში“ ყოფნა ურჩევნია, რასაც არც მალავს: „წავალ თუ არა, ჩემი გული აქ იქნება. დრაფტის პირველ წრეში არჩევა ჩემთვის დიდი პატივია. თანაც, მე ნბა-ს ფინალისტმა გუნდმა ამიყვანა“.

გასკომ ბელიაევი დაითხოვა

გასრულებული მეცხრე ეროვნული ხომ იმით იყო გამორჩეული, რომ არათბილისური გუნდის ტრიუმფით დაგვირგვინდა, მაგრამ კიდევ ერთი უნიკალური შემთხვევაც დაფიქსირდა: ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში საჩემპიონო მწვერვალს პირველად უწიეს სხვა ქვეყნიდან მოწვეულმა კალათბურთელებმა — სამშობლოში დაბრუნებულმა „ბასკოს“ რუსმა ლეგიონერებმა, ანდრეი ბელიაევმა და ანტონ არხიპოვმა ხელთ ქართული ოქროც გაიყოლეს.

ამიერიდან ანდრეი ბელიაევი თვისტომებში თავს თუ მოიწონებს ამ ჯილდოთი და ტკბილად გაიხსენებს საქართველოში გატარებულ დროს, რადგან „ბასკოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბისა და ბელიაევის გზები საბოლოოდ გაიყარა. ბათუმურ კლუბში ანდრეის შემდგომ კარიერას ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა წყალი, როცა ზღვისპირეთში ამროსი ორმოცაძე, დავით უსტიაშვილი და გიორგი ნიკოლაძე გადაბარგდნენ. სულ ახლახან კი გუნდის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა ბელიაევის „ბასკოდან“ წასვლის თაობაზე.

რაც შეეხება მეორე რუსს, ანტონ არხიპოვს, მისი საკითხი ბათუმელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ. გუნდი დაკომპლექტების პროცესშია და თუ არხიპოვის სრულფასოვანი შემცვლელი საქართველოში ვერ მოვიძიეთ, ისევ ანტონს დავუძახებთო, გვითხრა „ბასკოს“ მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ. ამჟამად კი, როგორც ადრე გაუწყეთ, არხიპოვი მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიშობს ჩვენებურ გიორგი გაგნიძესთან ერთად.

ერთი რამ ცხადია, „ბასკო“ მიზანმიმართულად აწარმოებს საქმიანობას, აქტიურად ჩაერთო სატრანსფერო პოლიტიკაში და, შეიძლება ითქვას, შინაური ბაზარიც მთლიანად დაიპყრო. „ვითას“, „დინამოსა“ და სტუ-ს ხომ წაჰგვარა საუკეთესო კალათბურთელები და კიდევ რამდენიმე მოთამაშეს დაადგა თვალი.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან ჩემპიონის ღირსებას დაიცავს ნუგზარ კოკოლიშვილიც, რომელიც წლების მანძილზე „ვითაში“ გამოდიოდა. როგორც შევიტყვეთ, კლუბი და კალათბურთელი თანახმანი არიან თანამშრომლობაზე და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეათე ეროვნულში „კოკოლაც“ „ბასკოს“ მაისურას მოირგებს.

ანდრეი ბელიაევი

ფოტო ფარაგ ფილიპოვსკაიასის

გიორგი ბიკაშვილი

ერთი ძმა მწვრთნელად, მეორე — პრეზიდენტად

მერვე ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლმა თსუ-მ, ჰლეი ოფში გასვლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ექვსეულში მოხვედრაც კი ვერ შეძლო და მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატში მთელი სამი ადგილით ჩამოქვეითდა.

საკალათბურთო წრეებში ხმებიც კი დაირხა, თსუ დაიშალა და მე-10 ეროვნულ ჩემპიონატში აღარ იასპარეზებო. მოარული ხმების სისწორეს კიდევ უფრო ამყარებდა ის ფაქტი, რომ მთავარ მწვრთნელ ნოდარ ქორქიასთან ერთად გუნდიდან წავიდა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გოჩა წოწელია. გამოცდილმა გიორგი ბერუაშვილმა საერთოდ დაანება თავი კალათბურთს. კლუბის მიტოვება გადაწყვიტეს ლევან მგალობლიშვილმა, ირაკლი გელაშვილმა და გიორგი მშვილდაძემაც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა გუნდის მთავარ მწვრთნელად ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტი ზაზა ზამთარაძე მიიწვია. კლუბის პრეზიდენტად ზაზას ძმა გიორგი დაინიშნა, ხოლო გუნდის უფროსად ნუგზარ მარკოიშვილი დარჩა.

ზაზა ზამთარაძე ბავშვთა ლიგაში „მართვეს“ და „მთაწმინდას“ ავარჯიშებდა, უმაღლეს ლიგაში სტუ-ს და ასკ-ს საკალათბურთო გუნდებს ხელმძღვანელობდა, ბოლო დროს კი უგუნდოდ იყო.

თსუ-მ უკვე გააფორმა კონტრაქტები უკანახაზელებთან დავით და ირაკლი ბერიშვილებთან და ცენტრებთან გულივერ ახალკაცთან და შოთა მაჭარაძესთან. კლუბის პრეზიდენტის, გიორგი ზამთარაძის თქმით, თსუ კიდევ სამ კალათბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მიზნებიც სერიოზული აქვს. მინიმუმ ერთ-ერთი საპრიზო ადგილის მოპოვება, სხვა შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გასვლასაც კი წარუმატებლობად ჩავთვლითო, დასძინა ბატონმა გიორგიმ.

თსუ-ს სპონსორიც გამოუჩნდა, რომლის დასახელებისაგან კლუბის პრეზიდენტმა თავი შეიკავა. თუ საპრიზო ადგილზე გავალთ, სპონსორების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებაო, ამბობს ზამთარაძე. კალათბურთელები პირველ აგვისტოს შეიკრიბებიან და აუცილებლად წავლენ შეკრებაზე საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, ან უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში. თუ მედალს მოვიპოვებთ და სპონსორებს მოვიზიდავთ, უცხოელი ლეგიონერების მოწვევაზეც ვიფიქრებთო, იმედოვნებს კლუბის ხელმძღვანელობა.

ვერაფერს იტყვი, იმედისმომცემი განცხადებაა. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

როლანდ ლაბუჩიძე

დავით თორთლაძე

ფოტო ფარაგ ფილიპოვსკაიასის

თორთლაძე მაკაბის კორაჩზე დაეხმარება

კორაჩის თასზე მოასპარეზე თბილისის „მაკაბიდან“ ტყუპი ბერიშვილების წასვლის შედეგ გუნდს უკანა ხაზში პრობლემები გაუჩნდა. მაკაბელებმა დანაკლისი მალე აინაზღაურეს, რადგან მათთან ვარჯიშს შეუდგა სტუ-ს გამთამაშებელი დავით თორთლაძე, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: „ორი-სამი დღეა, რაც „მაკაბისთან“ ერთად ვვარჯიშობ, რომლის ხელმძღვანელობამაც კორაჩის თასზე დახმარება მთხოვა. სტუ-ს ჯერ ვარჯიში არ დაუწყია და უქმად ყოფნას ვარჩიე, მომავალი სეზონისათვის „მაკაბისთან“ ერთად მოვემზადო. გადაწყვეტილი ამბავია, რომ კორაჩის თასზე „მაკაბის“ დავეხმარები, ხოლო დავრჩები თუ არა იქ საბოლოოდ, ჯერ არ გადამიწყვეტია. ამას მომავალი გვიჩვენებს“.

როლანდ ლაბუჩიძე

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ჭრილობა Perla

პ ე რ ლ ა

ჭრილობა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა





ჯოსტავას 47

ჰელსინკის წყალში დამალული ფხები

ოქრო და რეკორდი საზიაროც კარგია

REUTERS ჰელსინკიდან

ნინა ჟივანევსკაიამ სარკეშიც და რეალურადაც „ოქრო“ გააორმაგა

XXV European swimming

მოცურავეთა ეროვნულ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მსოფლიოს რეკორდებით განებივრებულებს, კონტინენტის უპირველეს ასპარეზობაზე ასეთი შედეგების მიღწევლობა ცოტა არ იყოს გვაოცებს. თუმცა, ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ჰელსინკში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი ბოლო დიდი შეჯიბრებაა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე. ამიტომაც მოცურავეები, ეტყობა, თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმის დემონსტრირებისგან თავს იკავებენ ან ოლიმპიადამდე სავარჯიშო გრაფიკის გათვალისწინებით ოპტიმალურ ფორმაში სწორედ სიდნეისთვის უნდა იყვნენ და ახლა არ ჩქარობენ. ამის მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუუგენბანდის ან ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ პოპოვის ამასწინანდელი განცხადებები. პირველი ამბობს, რომ ჩემპიონატზე უფრო სწრაფად ცურვის შემთხვევაში ვიფიქრებდი, სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების პროცესში რაღაც არასწორად მიდის საქმეო, პოპოვს კი სულაც მიაჩნია, რომ კონტინენტის პირველობა ოლიმპიური ციკლის პროგრამაში მთავარი არ არის.

ერთი სიტყვით, ზოგი მოცურავე „ბრჭყალებს“, უკაცრავად, „ფხას“ მალავს, რათა ავსტრალიაში მეტოქეებს სიურპრიზი შესთავაზოს.

მიუხედავად ამისა, მაკელანრინის საცურაო აუზში რამდენიმე ჩემპიონატისა და ევროპის რეკორდიც დამყარდა, რაზეც დროულად ვიუწყებოდით.

ყველაზე საინტერესო რამ ქალთა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოხდა, როცა ჩემპიონატის რეკორდსმენი ერთბაშად ორი სპორტსმენი გახდა. მის ავტორებად უკრაინელი იანა კლოჩკოვა და რუმინელი ბეატრის კასლარუ მოგვევლინენ, რაც ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონატის 74-წლიან ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, როდესაც ფინიშის შემდეგ უმალ ელექტროტაბლოს გახედეს და იქ თავიანთი გვარების გასწვრივ ორი ერთნაირი შედეგი (2.12,57) დაინახეს.

— არასოდეს გამიყვია გამარჯვება. ეს რაღაც ახალია. შედეგითაც და ჩემპიონატითაც კმაყოფილი ვარ — თქვა კასლარუმ, რომელიც ორშაბათს 400 მეტრზე იმავე სახეობაში მხოლოდ 17 წლის კლოჩკოვას ჩამორჩა, ისევე, როგორც ეს შარშან სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე 200 და 400 მეტრიან დისტანციებზე მოხდა.

— ეს ჩემი საუკეთესო შედეგია. ვიმედოვნებ, რომ სიდნეიში 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებას მოვიპოვებ — ამბობს აწ უკვე სამგზის ჩემპიონი კლოჩკოვა.

საინტერესოა, რომ 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის პირველ ეტაპზე დაწინაურდა ბრიტანელი სუ როლფი, თუმცა შემდეგ რუმინელთან და უკრაინელთან პოზიციები დათმო და მესამე ადგილზე (2.15,82) გავიდა.

გაესპანელებულმა რუსმა ნინა ჟივანევსკაიამ თავის ახალ სამშობლოს ჩემპიონატის კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუპოვა, როდესაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში საჩემპიონო დროით (1.01,02) 15 წლის რუმინელი დიანა მოკანუ (1.01,54) და მისივე თანატოლი დანიელი ლუის ორნსტედი (1.01,88) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გაამწესა.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჟივანევსკაიას უშუალო მეტოქეს, ამჟამინდელ ჩემპიონ გერმანელ სანდრა ფოლკერს ხუთშაბათის ნახევარფინალში აკრძალული ბრუნის გამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რასაც გერმანელთა გულისწყრომა და პროტესტი მოჰყვა, თუმცა ცურვის ევროპის ფედერაცია (LEN) შეუვალი აღმოჩნდა.

— არა ვარ გაბრაზებული, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება სასაცილოა — განაცხადა ფოლკერმა, რომელსაც ფინეთის დედაქალაქის დატოვება განუზრახავს, რათა ოლიმპიადისთვის ვარჯიში განაახლოს. მისი ბედი გაიზარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ასევე მოქმედმა ჩემპიონმა, თანამემამულე რალფ ბრაუნმაც.

მისი თქმით, პრობლემის არსი ისაა, რომ ცურვის მსოფლიოსა (ფინა) და ევროპის ფედერაციებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

— არ შეიძლება რომ ორი სტანდარტი არსებობდეს. — ფინა ამბობს „დიახს“ ლენ-ი „არას“ — რომელს დაუჯეროთ? — კითხულობს ბრაუნი.

* * *

რუსმა წყალში მხტომელმა დმიტრი საუტინმა ხუთშაბათს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მოპოვებულ „ოქროს“ კიდევ ერთი მიუმატა. გუშინ მან 10-მეტრიანი კოშკურიდან სინქრონულ ხტომებში იგორ ლუკაშინთან ერთად 323,46 ქულით უკრაინელ რომან ვოლოდკოვსა და ალექსანდრ სკრიპნიკის წყვილს დიდი სხვაობით გაასწრო (292.74). ბრიტანელები პიტერ ვოტერფილდი და ლეონ ტეილორი კი მესამენი იყვნენ.

— ჩვენ ორი მშვენიერი ნახტომი შევასრულეთ და საერთო ჯაშში კარგადაც გამოვედით. სინქრონულად შესრულებული ნახტომები თითქმის უნაკლო იყო, თუმცა კვლავაც მეტი ვარჯიში გვჭირდება, რათა გამოსვლა უფრო აკურატული იყოს — ამბობს საუტინი, რომელმაც სამშაბათს ალექსანდრ დობროსკოვთან 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ვერცხლიც მოიპოვა.

მეორე ადგილზე გასული უკრაინელთა „დუეტი“ კი ვერცხლის მედლის მოპოვებით მთლად უკმაყოფილო არ ჩანდა:

— ჩვენ უკეთ შეგვიძლია ხტომა. ახლა კი საუტინმა და ლუკაშინმა ჩვენგან განსხვავებით უფრო რთული ნახტომები განახორციელეს, ამიტომაც გაიმარჯვეს — თქვა ვოლოდკოვმა.

საგულისხმოა, რომ ხვალ 10-მეტრიანი კოშკურიდან მესამე ოქროს მოპოვების ფავორიტად საუტინი ითვლება, რომელსაც ეს ჯილდო 1993 წელს შეფილდში ბრიტანელ რობერტ მორგანთან დაძაბულ ორთაბლრძოლაში მოუპოვებია.

გიგა გურასაშვილი

პედაგოგი კასპაროვი რეიტინგების თამაღაა

შოუმენები: გარი კასპაროვი და სტინგი

ივლისი დადგა და ხელთა გვაქვს ორი დოკუმენტი — ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) და მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს (მსს) რეიტინგ-ლისტები. ისინი, როგორც ადრე, მრავალი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. შედარების დაწყებამდე კი ჭადრაკის მცოდნეებს ერთ ამბავს ვაუწყებთ: ყაზახეთში 86 წლისა გარდაიცვალა ანატოლი უფიმცევი, ხელობით ეკონომისტი და ადმინისტრაციული მუშაკი, ხოლო ჭადრაკში ერთ-ერთი გავრცელებული დებიუტის, პირცი-უფიმცევის დაცვის თანაშემოქმედი. დასავლურ საჭადრაკო წრეებში უფიმცევს ნაკლებად იცნობენ და მხოლოდ სლოვენი დიდოსტატი პირცი მიაჩნიათ ნახსენები დებიუტის ავტორად. ეს ნაწილობრივ მართალია, თავად იდეა თეთრების e4-ზე d5-ით პასუხის გაცემისა, პირცს მოუვიდა თავში, მაგრამ დებიუტი ფუნდამენტურად უფიმცევმა გამოიკვლია და მისი ნაშრომი დღესაც წარმატებით გამოიყენება საჭადრაკო პრაქტიკაში. პირცი-უფიმცევის დაცვის მიმდევრები იყვნენ თავის დროზე ბოტვინიკი და პეტროსიანი, დღეს კი ჰოლანდიელი იან ტიმანის დარად ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილიც ხშირად იყენებს და მის თეორიულ გამდიდრებაშიც წვლილი მიუძღვის.

ფიდესა და საბჭოს რეიტინგები ერთმანეთს ბევრით არ გვანან, მაგრამ პირველ ორ ადგილს რაც შეეხება, სრული თანხმობაა. სათავეში ორგანვე გარი კასპაროვი რომ იქნება, ეს სადღეისოდ აქსიომაა და ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. ვიშვანათან ანანდი უკვე ფიდეს ეგიდითაც აღარ არის მსოფლიოს მეორე მოჭადრაკე, ეს ადგილი კრამნიკმა წაართვა, ანუ დღეს არამარტო საბჭო, არამედ ფიდეც აღიარებს — კრამნიკია მეორე კაცი მსოფლიოს ჭადრაკში, რაც ოქტომბერში კასპაროვ-კრამნიკის მატჩისთვის მნიშვნელოვანი საიმედო მატებაა. 2 მილიონი დოლარის საფუძველზე მდგარი მატჩის ირგვლივ ახალი არაფერია, თუ ინტერნეტით ჩატარებულ გამოკითხვას არ ჩავთვლით, რომლის მიზანი მეტოქეთა შანსების სახალხოდ შეფასება ყოფილა. სამოცი ორმოცზე კასპაროვის სასარგებლოდ — ასეთია გამოკითხვის შედეგი, რომელშიც ბევრმა ცნობილმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა, ოღონდ არა თავად კასპაროვმა და კრამნიკმა. ეს მათი მხრიდან არაეთიკური იქნებოდა და თანაც ამ დღეებში ორივე ფრიად დაკავებული იყო. კრამნიკი გუშინ დაწყებულ დორტმუნდის სუპერტურნირში სათამაშოდ ემზადებოდა. ამასთან ვოვას 25-ე დაბადების დღეც უნდა აღენიშნა, ამ დროს კი 37 წლის კასპაროვი ნიუ იორკს ჩავიდა, სადაც თავის საჭადრაკო-საზოგადოებრივი საქმიანობის წარმატებულ განვითარებას შეუდგა. 1997 წელს სწორედ კასპაროვს მოსვლია აზრად (ინტერვიუში ასე ამბობს) ინტერნეტით სკოლათა მსოფლიოს პირველობა ჩაეტარებინა, მომდევნო წელს კი პროექტიც მზად იყო და „კასპაროვჩზმა“ მისი განხორციელება დაიწყო. ჩემპიონატში ასობით სკოლა ჩაება და ზონალური პრინციპით მოწყობილი მატჩების ბოლოს ნიუ იორკში ფინალის სათამაშოდ ნორვეგიელები და ებრაელები ჩავიდნენ. სკანდინავიელებმა ფინალიც მოიგეს და ჩვენებური მცხეთისხელა ელკანის ყოვლად უცნობი სკოლა მსოფლიოს ჩემპიონია! ამით მხოლოდ წლევანდელი ციკლი მორჩა, თორემ მომავალში უფრო მასშტაბური ჩემპიონატებია დაგეგმილი და, საქართველოს სკოლების დირექტორებო, მიაქციეთ ყურადღება ამ ამბავს! ცხრაპირი ტყავის გაძრომასა და ვალებში ჩავარდნას იგი არ საჭიროებს, მთავარია, ინტერნეტი გქონდეთ პირველ ეტაპებზე მაინც.

ფინალი კი რიგიანი სანახავი გამოდგა. ასობით ფანი გაჭკიოდა ნიუ იორკის „ტაიმს-სკვერში“ და თმებს იგლეჯდა, ოღონდ, ცხადია, არა ჭადრაკის ზედმეტი სიყვარულით. კასპაროვს ფინალზე დასასწრებად და სეანსის სათამაშოდ სტინგი მისი სამი თანაჯგუფელი მიეწვია თინეიჯერთა წიოკის მიზეზიც თავიანთი კერპის მხარდაჭერა იყო. კასპაროვმა ოთხივე დაფაზე ლაღი სვლებით დაიწყო, როგორსაც კრამნიკთან არასოდეს გააკეთებს, მაგრამ იქ ხომ კრამნიკი არ იჯდა... როსტომ წერეთელის ტაქტიკამ მუსიკოსთა დასამარცხებლად მაინც იკმარა, მხოლოდ სტინგი გაჯიქდა ერთხანს და ფიგურის სუფთად წაგებამდე იბრძოდა. სცოდნიათ თამაშიო, შენიშნა შემდეგ კასპაროვმა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა არ მთავრდება. ახლა ინტერნეტითვე მექსიკის 2000 (!) სკოლის ბავშვების ერთდროულ გაწვრთნას აპირებს, მერე დანარჩენ ლათინურ ამერიკას უნდა გადასწვდეს და საერთოდ, აი, მისი სიტყვები: „მიღწეულზე არ შევჩერდებით. ჩვენი გეგმები გლობალურ ექსპანსიას გულისხმობს, ათობით ათას სკოლას, რომლებშიც ჭადრაკს ისწავლიან და ითამაშებენ.“ საჭადრაკო მსოფლიოს დასაპყრობად სერიოზული პრეტენზიაა, გაიზრდებიან ის ბავშვები და მეტი არაა ჩემი მტერი, ფიდეს დროშის ქვეშ რომელიმე დადგეს. თუმცა ეს უფრო შორეულ მომავლის საქმეა საქმეა. ორიოდე წლის შემდეგ კი მსს საკუთარი შესარჩევი ტურნირის მოწყობას აპირებს 25 უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით. საეჭვოა, ელიტის რომელიმე წევრმა მასზე უარი თქვას და ფიდეს მხარე დაიჭიროს: კასპაროვთან კუთვნილი (ამასთან გვარიანი) გასამრჯელოს მიღება პრობლემას არ წარმოადგენს, ფიდეს კი მალე წელიწადი იქნება, ლას ვეგასის პირველობაზე გაცემული ჩეკები არ გაუნაღდებია, ის 3 მილიონი დოლარი თუ მისი ნაწილი თითქოს ქარმა წაიღოო. ეს ამბავი ამერიკელი დიდოსტატის იასერ სეირავანის კირსან ილუმჟინოვისადმი გაგზავნილი ღია წერილიდან გავიგეთ (წერილის სათაურია „კმარა!“), რომელიც ერთობ გამართულადაა დაწერილი (თაბახის 3 გვერდზე) და კარგად იკითხება. დასაწყისი ასეთია: „ერთ საერთაშორისო ორგანიზაციასაც ვერ ეჭნება იმედი, რომ ყველას ყოველთვის დააკმაყოფილებს, მაგრამ ფიდეს პრობლემა ბევრად სერიოზულია — იგი უკვე აღარავის და არასოდეს აკმაყოფილებს“. შემდეგ სეირავანს ფედერაციაში არსებული ქაოსის გამოვლინებები ჩამოუწერია (რეიტინგებისა და წოდებათა სისტემის აბსურდულობაო, ჩემპიონთა მომდურებაო და მისთანები), ბოლოს კი ილუმჟინოვს მოუშოდებს: „თქვენ და ფიდეს მთელი ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს!“ ჯერ არ გაგვიგია, სეირავანის ნათქვამზე ილუმჟინოვმა ყური თუ შეიბერტყა, მაგრამ ფიდეს მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარის, დიდოსტატ ვალერი სალოვის მკაცრი პასუხი უმალ გაავრცელეს საინფორმაციო საგენტოებმა. იგი არცთუ მოსაწონი იყო: ჯერ ერთი, ნახევარი გვერდი არგუმენტირებული პასუხისთვის ცოტაა, მით უფრო, თუ ის ნახევარი გვერდიც უმეტესად ასეთ წინადადებებს უკავიათ: „იასერ, ვინმემ არ შეგაცდინოთ!“, „აქ ბინძური პოლიტიკური თამაში მიდის!“, „ფიდეს გვერდში დავუდგეთ!“... ამ ფონზე ვერც პასუხის დამაგვირგვინებელი „გენს უნა სუმუს!“ („ჩვენ ერთი ოჯახი ვართ“ — მოჭადრაკეთა ლათინური დევიზია) ჩანდა ეფექტური.

ძალიან გავუტიეთ, არადა, წერილის მთავარი თემა რეიტინგ-ლისტები იყო. ანანდის დაქვეითებასა და კრამნიკის აღზევებაზე გითხარით და იმაზეც, რომ ორივე სიის პირველი ორი პოზიცია მსგავსია, მერე კი არეულია ყველაფერი. თუ ფიდეს ანანდი მესამეობის ღირსად მაინც უცვნია, საბჭოს ასეთ კაცად „ესპანელი“ ალექსეი შიროვი მიუჩნევია, მერე მოდის ახალგაზრდა რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი და ოდესღაც გენიოსად წოდებული ვიში კი ოდენ მეხუთეა, თუმცა ფრანკფურტის ტურნირში კასპაროვის უკან მოტოვების შემდეგ ინდოელისგან ახალ აღზევებას ელიან.

წლის პირველი ნახევრის მოჭადრაკეებად კი რეიტინგ-ლისტების თანახმად ინგლისელი მაიკლ ადამსი, პოლონელი მიხეილ კრასენკოვი და ნორჩი უზბეკი რუსტამ კაზიმჯანოვი გვესახება. პირველს წარდგენა არ სჭირდება, ბოლო ტურნირებში მან დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე ძვირს ვერავინ ეტყვის, პოლონელი ავად გვახსენდება ქართველებს: ფიდე-ს პირველ „ნოკაუტინ“ ჩემპიონატზე ლოზანაში სწორედ მან გამოთიშა შეჯიბრებას ზურაბ აზმაიფარაშვილი. ახლა აღმავლობის გზას უნდა ადგეს და 41 სარეიტინგო ქულა და მე-10 ადგილი ალალია მისთვის, ოღონდ ფიდეს სიაში, თუმცა პოლონელის ღვაწლი არც საბჭოს დაუმცირებია, იქაც მე-12-ეა.

კაზიმჯანოვზე რა გითხრათ, ახალგაზრდაა და მიჰყვება თავის საქმეს. მალე ისიც ელიტაში შესვლის მოსურნე იქნება.

ქართველთაგან მოწინავე კვლავ ზურაბ აზმაიფარაშვილია და კვლავ არც ერთი ოფიციალურად ნათამაშევი პარტიით. ნავსი უკვე გატყდა: ქართველი ევროპის პირად პირველობაზე თამაშობს.

დავით გულუა

ფიდეს რეიტინგ-ლისტი

1. გარი კასპაროვი — 2849 (-2); 2. ვლადიმერ კრამნიკი — 2770 (+22); 3. ვიშვანათან ანანდი — 2762 (-7); 4. ალექსანდრ მოროზევიჩი — 2756 (+8); 5. მაიკლ ადამსი — 2755 (+40); 6. ალექსეი შიროვი — 2746 (-5); 7. პიტერ ლეკო — 2743 (+18); 8. ვასილი ივანჩუკი — 2719 (+10); 9. ვესელინ ტოპალოვი — 2707 (+5); 10. მიხეილ კრასენკოვი — 2702 (+41); ... 12. ანატოლი კარპოვი — 2699 (+3); ... 19. ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2673 (0); ... 25. ალექსანდრ ხალიფმანი — 2667 (+11); ... 88. გია გიორგაძე — 2599 (0); ... 99. ზურაბ სტურუა — 2594 (-1).

მსს-ს რეიტინგ-ლისტი

1. კასპაროვი — 2824 (-14); 2. კრამნიკი — 2749 (+15); 3. შიროვი — 2740 (+17); 4. მოროზევიჩი — 2727 (+22); 5. ანანდი — 2715 (-7); 6. ლეკო — 2715 (+15); 7. ადამსი — 2701 (+25); 8. გატა კამსკი — 2696 (0); 9. ივანჩუკი — 2681 (+10); 10. ევგენი ბარეევი — 2677 (-8); ... 14. ხალიფმანი — 2635 (+15); ... 85. გენადი ზოჩიკი — 2564; 86. გია გიორგაძე — 2563 (0).

ტერორი, ომი, მშვიდობა და ეკიხირია

მიუნხენის ოლიმპიური თამაშები. ტრაგიკული დილა ოლიმპიურ სოფელში

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ოლიმპიურ თამაშებზე აფეთქებული ბომბის ხმა უმალ მთელ მსოფლიოს მოედო. იმ აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამას გარდა, ზოგი მონაცემებით 110 კაცი დაიჭრა, ზოგი ცნობით 140. უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ოლიმპიურ პარკში, სადაც ბომბი შუაღამისას აფეთქდა, ჩვეულებისამებრ იმდენი ხალხი ირეოდა, ნემსიც ვერ ჩავარდებოდა.

ჩანთაში ჩადებული ის თვითნაკეთი ბომბი ტერორისტმა დატოვა ოთხსართულიანი კონსტრუქციის ძირში, რომლის თავზე დაყენებული გამაძლიერებლებიდან დღედაღამ ბაგა-ბუგი გაისმოდა. ასევე დღედაღამ იმ კონსტრუქციის გვერდით აღმა-დაღმა დავრბოდით იქ აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტებიც.

მას შემდეგ ოთხი წელიწადი იწურება, მაგრამ ვერც ტერორისტისთვის მიუგნიათ, ვერც იმისი ასავალ-დასავალისთვის. ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები ტერორისტს დღესაც ეძებენ და ისინი ქართველი კოლეგების დახმარებით ატლანტაში აკრედიტებულ ჟურნალისტებსაც გვეკითხებიან, აფეთქების თაობაზე რამე ხომ არ იცითო. ჩვენს ბედად, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, იმ ტრაგიკულ ღამეს ოლიმპიურ პარკში არ ვყოფილვართ.

ასე იყო თუ ისე, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ეს მეორე ტერორისტული აქტი იყო. პირველი და უარესი, გეხსომებათ, მიუნხენში მოხდა. მაგრამ მანამ იმ უბედურებას გავიხსენებდეთ, წეროებზე მოგითხრობთ.

მაშინ, ტოკიოში ჩაფრენილებს, როგორც კი ნაგანოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მიმავალ ავტობუსში მიგვიჩინეს ადგილი, ჩვენმა მეგზურმა იაპონელმა გოგონამ მისალმების მერე ჩამოგვიარა, შემოგვციცინა და ყველას ქაღალდის წერო გვაჩუქა.

და გაგვახსენდა:

საქართველოში, თამარის მთაზე ციხესიმაგრის ასაშენებლად წეროები ქვებს ეზიდებოდნენ და მისი ერთგული ფრინველები იყვნენ. ამაზე მოგვითხრობს ქართული მითოლოგია, სადაც იგი პოპულარული ფრთოსანია.

წერო პოპულარულია სხვა ხალხთა მითოლოგიაშიც, განსაკუთრებით ეგვიპტეში, საბერძნეთშიც, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჭაობის ეს ულამაზესი ფრინველი ხშირ-ხშირად ახსენებდეთ თავს გნებავთ ეგვიპტელებს, გნებავთ ბერძნებს, ან როგორ შეახსენებთ, როცა წერო, განსაკუთრებით თეთრი, მთელს მსოფლიოში გადაშენების გზაზეა, ამომავალი მზის ქვეყანაში კი თეთრი წერო საერთოდ არ არსებობს, თუმცა მათ ჰყავთ თავიანთი საკუთარი წერო. ასეც ჰქვია — იაპონური წერო და იქ ისეთი პოპულარულია ეს ფრინველი, რომ ხალხი ალბათ სიზმარშიც ხედავს. მათ ჰგონიათ, რომ თუ ქაღალდის წეროებს გააკეთებ, ისინი ნატვრისთვალივით ყველა ოცნებას აგიხდენენ. ჰოდა, იაპონელებიც აკეთებენ და აკეთებენ ქაღალდის წეროებს. მათ ქაღალდის წეროების საზოგადოებაც კი ჩამოაყალიბეს მას მერე, რაც ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბი ჩამოაგდეს. იაპონელთათვის მშვიდობის და ბედნიერების ეს სიმბოლო — წერო, ასე გახდა უფრო პოპულარული და ამ მხრივ მას ბიბლიური მტრედი ვერ გაუტოლდება. თუმცა, ნაგანოს ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალის დასასრულს მასპინძლებმა მაინც მტრედი — ხელოვნური მტრედი ამჯობინეს.

იმ მტრედებმა მთელი ცის გუმბათი დაფარეს. იაპონელებმა ამჯერად წეროს მტრედი ალბათ იმად ამჯობინეს, რომ სტუმართათვის ზეთისხილის რტოს მომტანი ფრინველის სიმბოლური მნიშვნელობა უფრო გასაგები გამხდარიყო.

იაპონელთა ამ მტრედებმა და ქაღალდის წეროებმაც შეაჩერეს ერაყისკენ დაძრული ამერიკელთა არმადა, თბილისში კი იმ დღეებში ომი არა და, ბათქა-ბუთქი მაინც ამტყდარა, რაც იაპონიის ტელევიზიითაც შევიტყვეთ.

არადა, ჯერ კიდევ 1992 წელს, სრულიად საქართველოს პირველი სპორტული თამაშების ჩატარების წელს, ჩვენს ქვეყანაში იმ დროს შექმნილი ურთიერთდაპირისპირების გათვალისწინებით სეოკ-ი ოლიმპიური დაზავების ტრადიციის აღდგენის ინიციატორად მოგვევლინა. მერე, 1992 წელს ბარსელონას ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას სოკ-ის ინიციატივითაც დაიბადა იდეა, აღედგინათ ანტიკური ოლიმპიური დაზავების ტრადიცია, რასაც 1993 წელს გაეროს 48-ე გენერალურმა ასამბლეამაც დაუჭირა მხარი და შესაბამისი რეზოლუციებიც მიიღო.

ოლიმპიური დაზავება არც ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა დაივიწყეს, რადგან მათ კარგად ახსოვთ ხიროსიმა და ნაგასაკი, თუმცა იაპონელებს ამერიკელთა მტრობა გულში არ ჩაუდიათ.

ისიც სიმბოლური იყო, რომ ნაგანომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ესტაფეტა სწორედ ამერიკას, სოლტ-ლეიკ-სიტის გადასცა.

ომს მშვიდობა სჯობია, მაგრამ ომმა ოლიმპიურ თამაშებზე ორივე მსოფლიო ომის წლებში გაიმარჯვა. ამიტომაც ოლიმპიურ ზავზე თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ფიქრობდა. თუმცა, მაშინ მან არ იცოდა, რომ 1914 წელს ავსტრია სერბთა წინააღმდეგ ხმალს იშიშვლებდა, სამი დღის მერე გერმანია რუსეთს ეძგერებოდა, მერე თავად გერმანიას საფრანგეთი და ინგლისი თავს დაესხმოდა, კიდევ რამდენიმე დღეში მთელი ევროპა გადაირეოდა. მერე ბებერი კონტინენტის ფეხის ხმას აშშ, იაპონია და ბოლოს მთელი მსოფლიო აუბამდა მხარს.

რა თქმა უნდა, კუბერტენმა კარგად იცოდა, რომ ოლიმპიელები პოლიტიკას წინ ვერ აღუდგებოდნენ, მაგრამ მათ ძალისხმევას, სხვებთან ერთად, რაღაც მუხრუჭის როლის შესრულება შეეძლო. ამიტომაც ეს ფრანგი მოღვაწე თავის გამოსვლებში, სტატიებში თუ პირად საუბრებში საზოგადოებას ახსენებდა ანტიკური ოლიმპიური თამაშების დაარსების მითს. ერთ-ერთი მითის მიხედვით, ქრისტეშობამდე 884 წელს ბერძნული სახელმწიფოების ელადისა და სპარტის მმართველებმა პირობა დადეს ოლიმპიაში, ზევსის საპატივცემულოდ, მეგობრობის ზეიმის — ოლიმპიური თამაშების ჩატარების თაობაზე, თავად ოლიმპია გამოაცხადეს წმინდა ადგილად და ყველას, ვინც მის სიწმინდეს შეირაღებული შეჭრით დაარღვევდა, უღვთოდ აცხადებდნენ.

კუბერტენი საზოგადოებას ახსენებდა ანტიკური ოლიმპიური თამაშების ტრადიციასაც, რომლის მიხედვითაც როცა ამგვარი თამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე და მის დასრულებიდან ამდენივე ხნით საღვთო ზავი მყარდებოდა. ამ წესს ემორჩილებოდა სუსტიცა და ძლიერიც. საღვთო ზავი მხოლოდ ორჯერ დაირღვა და ორივეჯერ მკაცრად დაისაჯნენ მისი უგულებელმყოფელნი. ასეთი ბედი ეწიათ სპარტელებს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 420 წელს ერთ-ერთ ბერძნულ ქალაქს თავს დაესხნენ. ამისთვის ისინი ოლიმპიური თამაშებიდან მოკვეთეს და დააჯარიმეს კიდეც.

ამ ამბიდან 70 წლის მერე სპარტელთა ბედი გაიზიარეს მაკედონიელებმა. მაშინ მათი მეფე ფილიპეს ჯარისკაცები თავს დაესხნენ ერთ ათენელს, რომელიც ოლიმპიაში, იქაური თამაშებისკენ მიემართებოდა და იმ მგზავრს ბარგი წაართვეს.

საინტერესო ისაა, რომ არც სპარტელები და არც მაკედონიელები არ უარყოფდნენ ოლიმპიურ საღვთო ზავს. ისინი თავს იმით იმართლებდნენ, რომ საღვთო ზავის ჩამოგდების თაობაზე ცნობას ჩვენამდე არ მოუღწევიაო და პატიებას ითხოვდნენ.

ძველ ბერძნებს საღვთო ზავის აღმნიშვნელი ტერმინიც კი ჰქონდათ — ეკიხირია. თუმცა, ზოგი ისტორიკოსის მტკიცებით, ანტიკური ოლიმპიური თამაშები სამხედრო ძლიერების დემონსტრირებისა და ჯარისკაცული მომზადების მიზნით ტარდებოდა. ამის დასტურად ისინი გვახსენებენ, რომ 520 წელს XV ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს სრული საბრძოლო აღჭურვილობით რბენა. ამ თამაშების პროგრამაში უფრო ადრე დაფუძნდა მუშტებით ბრძოლა, საბრძოლო ეტლებით რბოლა...

პავსანია, II საუკუნის ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი, „ელადის აღწერის“ ავტორი უორჭოფოდ გვაუწყებს, რომ ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიარაღებულ ათლეტთა ასპარეზობანი ჩაფიქრებული იყო „როგორც ომისთვის ვარჯიში“.

ალბათ ასეც იყო, მაგრამ იმდროინდელი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ხომ ხელოვანთა კონკურსებიც ეწყობოდა. ამასთან, გამარჯვებულ ათლეტებს ხომ ფარითა და მახვილით კი არა, ზეთისხილის რტოებითა და დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ. ეგეც არ იყოს, ძველმა ბერძნებმა, ლათინთა მსგავსად კარგად უწყოდნენ დებულება: SIVIS PACEM,PARA BELLUM — „თუ მშვიდობა გსურს, ემზადე ომისთვის“.

და ისინიც ემზადებოდნენ, მაგრამ არც ეკიხირიას ივიწყებდნენ. ამიტომაც უძველესი ოლიმპიური თამაშები არასოდეს ჩაშლილა და არც გადადებულა მანამ, სანამ რომის იმპერატორმა თეოდოსიმ ჩვენი წელთაღრიცხვით 394 წელს არ აკრძალა იგი.

სამწუხაროდ, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია უწყვეტი არ აღმოჩნდა. იგი შეაფერხა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა. იგი გახდა პოლიტიკური ბრძოლის სარბიელიც, რომელსაც ხან ერთი, ხან მეორე ქვეყანა უცხადებდა ბოიკოტს, ორჯერ კი იქ ტერორისტებმაც „გამოიჩინეს“ თავი.

მაშინ, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე (1972 წ). მოვლენების ტრაგიკული განვითარება ოლიმპიურ სოფელში ალიონზე დაიწყო და გვიან ღამით ფიურსტენფელდბურგის სამხედრო აეროდრომზე დასრულდა. იმ დილით შვიდკაციანი ტერორისტთა ჯგუფი, ოლიმპიურ სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გარეშე პირთაგან საგულდაგულოდ იყო დაცული, მაინც შეიპარა. ისინი თავს დაესხნენ ისრაელის მოჭიდავეთა გუნდს. ტერორისტებმა თავდასხმისთანავე ავტომატის ჯერით ადგილზე მოკლეს ორი მწვრთნელი და ერთი მოჭიდავე, დანარჩენები კი დაატყვევეს.

აღმოჩნდა, რომ ტერორისტები პალესტინის ექსტრემისტული ორგანიზაციის — „შავი სექტემბრის“ წევრები ყოფილან. მათ სექტემბრის იმ დილით მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ორასი პალესტინელი პატიმარი, რომლებიც ისრაელის ციხეებში იხდიდნენ სასჯელს.

მთელი გერმანიის მთავრობა ფეხზე დადგა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშები უვადოდ შეწყვიტა. ტერორისტები მათი მოთხოვნით მძევლებიანად ავტობუსებით გადაიყვანეს სამხედრო აეროპორტში, სადაც „ბოინგ-727“ ელოდათ. სწორედ მაშინ დაიწყო მძევალთა განთავისუფლების ცდა. სნაიპერთა პირველი გასროლისთანავე ტერორისტებმა მძევლებს გაუხსნეს ცეცხლი და ყველანი ამოხოცეს. ტერორისტთა ხელყუმბარის აფეთქების შემდეგ დაიღუპა ერთ-ერთი შვეულმფრენის პილოტი და ერთიც პოლიციელი, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. აფეთქებამ შეიწირა შვეულმფრენიც.

მას შემდეგ ყოველი ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებას ერთიორად მეტი ყურადღება ექცევა. ასე იყო ატლანტაშიც, სადაც ისე ფრთხილობდნენ, რომ წესრიგის დამცველთა საქმიანობა გამაღიზიანებელიც კი გახდა. ამ საქმეში მთელი ამერიკის სპეციალისტები დაიხმარეს და უცხოელებიც მრავლად მიიწვიეს. პოლიცია იყო მიწაზეც და ჰაერშიც. დედამიწაზე ვხედავდით ფეხოსანსაც, ცხენოსანსაც და მოტორიზებულ პოლიციასაც, ჰაერში კი იყო დღე და ღამე ცას გამოკიდებული დირიჟაბლები და მოგრიალე შვეულმფრენები, ატლანტის თავზე აღმადაღმა რომ დაქროდნენ. ამას მიათვალეთ ეროვნული გვარდია, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი წესრიგის დამცველები, სამკერდე ნიშნზე „SECURITY“ რომ ეწერათ და ისინიც, ალბათ ტურისტებივით მაისურებსა და შორტებში გადაცმულნი რომ დადიოდნენ.

უშიშროების მიზნით აკრედიტაცია ყველას აეროპორტშივე ეძლეოდა, სპორტსმენებს კი თითის ანაბეჭდებსაც ულებდნენ.

ერთი სიტყვით, ატლანტაში უნებარ-თოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა.

და მაინც, იმ ღამეს ბომბმა იქუხა.

ასეა თუ ისე, ოლიმპიურ თამაშებს პოლიცია და უშიშროების სამსახურები იცავენ, თავად ოლიმპიადები კი მშვიდობას.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტოები

ატლანტის პოლიცია ხმელეთზეც იყო, ცხენზეც ამხედრდა, ცაშიც აფრინდა, მაგრამ ბომბმა მაინც იქუხა



ველომხედრებმა დომერის ციხესაც ჩაუქროლეს

ტური ტურში

ჩაგეცვა, ჟაჟა, პამპერსი

ლორან ჟალაბერმა ყვითელი მაისურის დაკარგვა ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას დააბრალა...

„ყველამ დაინახა, რომ ჟალაბერი გზის მარჯვენა მხარეს გაჩერდა. სწორედ ამ დროს ოთხმა თუ ხუთმა მრბოლმა მარჯვნიდან შეუტია“ — განაცხადა ალბერტო ელიმ, ვინც „ჟაჟას“ დაკარგული მაისურა „იპოვა“. იტალიელმა ისიც დაამატა, რომ ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო და ეს ველორბოლის „ღირსების კოდექსით“ აკრძალულიაააო.

მართალია, ჟალაბერს „ტური“ ტურში არ წაუგია, რადგან შეჯიბრის მთავარმა ფავორიტებმა მასთან ერთად დაამთავრეს ეტაპი, მაგრამ კაცის შეჭირვებით სარგებლობა მაინც არაეთიკური საქციელია. მე-10 კილომეტრზე, როცა ფრანგი ზედმეტი სითხისგან იცლებოდა, შვედმა მაგნუს ბაკსტედტმა წამოიწყო იერიში და მერე ბოდიშიც მოიხადა, ჟალაბერის შეჩერება არ დამინახავსო. ის შეტევა მარცხიანი გამოდგა, მაგრამ „ონსეს“ ლიდერის აზრით, ეტაპის ბედი სწორედ მაშინ გადაწყდა. სანამ ჟალაბერი პელოტონს წამოეწეოდა, დაწინაურებულები შეტევების იშტაზე მოვიდნენ და მე-12 კილომეტრზეც თორმეტკაციანი ჯგუფი გაექცა პელოტონს.

თავიდან საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი, მეტად მოუსვენარი ჟაკი დიურანი დაწინაურდა და მას მალე სხვებიც აჰყვნენ. ლტოლვილებში ყველაზე მეტი წევრი (3) ჰოლანდიურ „რაბობანკს“ ჰყავდა, ფავორიტთა გუნდებიდან კი მხოლოდ იან ულრიხის „ტელეკომი“ იყო წარმოდგენილი ალბერტო ელით.

ფინიშამდე დარჩენილი 185 კილომეტრი დაწინაურებულმა სამგალითო გუნდივით ირბოლეს. სამუშაოს არავინ გაურბოდა, ყველა ენაცვლებოდა ერთმანეთს და ერთხანს ლამის 13-წუთიანი უპირატესობაც მოიპოვეს. პელოტონი კი უთავო მხედარს ჰგავდა. წესით, ინიციატივა „ონსეს“ უნდა გამოეჩინა, რადგან ყვითელ მაისურას კარგავდა, მაგრამ ისინი წინა ეტაპზე გადაღალნენ და გადაწყვიტეს, მთებისთვის შემოენახათ ძალა.

ტურამდე რამდენიმე ათეული კილომეტრი რჩებოდა, როცა „ბონჟურმა“ და „პოლტიმ“ ითავეს ლტოლვილებზე ნადირობა. მათ მერე „მერკატონე უნო“ შეენაცვლა, თუმც ამის შედეგად პელოტონმა მხოლოდ ჩამორჩენის განახევრებაღა შეძლო.

თორმეტეულში კი ფინიშის მოახლოებამ განხეთქილება მოიტანა. თითქმის ყველამ სცადა მარტოდ დაწინაურება, მაგრამ ვერავინ მოახერხა. ასე რომ, ეტაპის ბედი საფინიშო სპრინტმა გადაწყვიტა, სადაც თანაგუნდელი მარკ ვოუტერსის მიერ კარგად გამოქანებულმა ჰოლანდიის ჩემპიონმა ლეონ ვან ბონმა იმარჯვა, საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ალბერტო ელიმ იგდო ხელთ. „ყვითელი მაისურა კი მოვიპოვე, მაგრამ მის ბოლომდე შენარჩუნებაზე არც ვფიქრობ. მე აქ იან ულრიხის დასახმარებლად ჩამოვედი“ — განაცხადა 36 წლის იტალიელმა, რომელიც თავის მეთორმეტე „ტურ დე ფრანსზე“ „ტელეკომმა“ უკანასკნელ მომენტში წამოიყვანა.

„ჩემი მიზანი იყო მთებადმე ისე მიმეღწია, არ წავქცულიყავი და უმთავრესი კონკურენტები წინ არ გამეშვა“ — ეს სიტყვები „ტურის“ შარშანდელ გამარჯვებულ ამერიკელ ლენს არმსტრონგს ეკუთვნის. მიზნის მიღწევა მან მართლაც შეძლო, რადგან ულრიხიც, პანტანიც, ცულეც ესკარტინიც და ვანდენბრუკიც საერთო ჩათვლაში ჩამორჩებიან, ჟალაბერი კი მხოლოდ 14 წამს უგებს.

დაბოლოს, ტურში „ტურს“ „კრედი აგრიკოლის“ პეპელა ავსტრალიელი სტიუარტ ოგრედი დაემშვიდობა. მან წაქცევისას მაჯა მოიტეხა. ტურნირის დაწყებამდე ჰემატოკრიტების დაშვებულზე მაღალი დონის გამო მოკვეთილი რუსი სერგეი ივანოვი კი საკუთარმა გუნდმა „ფარმ ფრაიტსმა“ უმუშევრადაც დატოვა.

გაიოზ თალაძგაძე

მეექვსე ეტაპი

ვიტრე-ტური, 198,5კმ

1. ლეონ ვან ბონი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 4სთ 28წთ 06წმ
2. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)
3. ემანუელ მანიანი (საფრანგეთი, ფრანსეზი)
4. სერვე კნავენი (ჰოლადია, ფარმ ფრაიტსი)
5. არვის პიზიკსი (ლიტვა, მემორი კარდი) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ალბერტო ელი (იტალია, ტელეკომი) — 18სთ 58წთ 40წმ
2. ფაბრის გუგო (საფრანგეთი, კრედი აგრიკოლი) — +12წმ
3. მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) — +1წთ 17
4. პასკალ შანტერი (საფრანგეთი, პრეგუაიანსი) — +2წთ 56
5. ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი, ბანესტო) — +3წთ 08

ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

მდინარე ლუარზე გაშენებული ტური საფრანგეთის ცენტრალური მხარის დასავლეთ ნაწილის ეკონომიკურ-კულტურული გზაჯვარედინია. დიდებული ისტორიის მქონე ქალაქში ბრწყინვალე ღირშესანიშნაობებია. აქაურ ციხე-კოშკებსა და ტაძრებს თვლა არ აქვს. ქალაქის თანამედროვე ნაწილიც არანაკლებ ლამაზია. განსაკუთრებით გამოსარჩევია „ორი ლომის“ კვარტალი. აქ ცხოვრება ფრანგების გარდა უცხოელებსაც ძალიან უყვართ და ამიტომაც ტური საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური ქალაქია. საგზატკეცილო ველორბოლის ფინიში აქ პირველად შორეულ 1896 წელს მოეწყო და მას შემდეგ პარიზი-ტურის რბოლა, რომელიც მსოფლიოს თასის ეტაპია, ერთ-ერთი უპრესტიჟულესი შეჯიბრია.

ერთი დღის ისტორია

6 ივლისი

ჯინო ბარტალი

1948 **წლის** 7 ივლისს „ტურ დე ფრანსი“ პირველად ეწვია პატარა სამხრეთულ ქალაქ ლურდს. ეს იყო პირველი პირინეული ეტაპი. პელოტონში, შეჯიბრის სხვა ფავორიტებთან ერთად, იტალიელი ჯინო ბარტალიც იყო, რომელსაც მეტად მორწმუნე და რელიგიური კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მას მისურის ჯიბეში წმინდა ტერეზას ხატი ედო და, რა თქმა უნდა, როგორც მთებში რბოლის დიდოსტატს, ეტაპის მოგებაც სურდა. ბარტალიმ საწადელი აისრულა და სპრინტში რობიკს აჯობა. საღამოს მან რომის პაპს დეპეშა გაუგზავნა და თავისთვის და ახლობლებისთვის ბენედიქცია სთხოვა. დააკმაყოფილა თუ არა პაპმა მისი თხოვნა, უცნობია. აი, ეტაპის დასასრულს კი ტარბისა და ლურდის სამწყოს წინამძღვარმა მონსენიორ ტეასმა მესა გამართა და იქადაგა კიდეც. „ცხოვრებაში სულ ახალი მწვერვალებისკენ უნდა ვისწრაფოთ, სულ ზევით და ზევით ვიაროთ“ — თქვა ღვთისმსახურმა, რაზეც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ენამოსწრებულად შენიშნა: „რელიგიაშიც კი ყველაფერი მთიელების სასარგებლოდაა“.

ასეთი ერთიც საჭმელ

ფრანგულ ნანტში დასრულებულ ბერძულ-რომაულად მოჭიდავე ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატში მძიმეწონოსანმა ალექსანდრე წურწუმიამ ოქროს მედალი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ წურწუმიამ ევროპის პირველობაც მოიგო. სამწუხაროდ, ამჯერად მას მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა — ევროპის წლევანდელმა ჩემპიონებმა ალექსანდრე დოხტურიშვილმა (76), გიორგი ჯობავამ (97) და მესამე პრიზიორებმა — ელიზბარ მაჭუტაძემ (63) და თეიმურაზ თხილაიშვილმა (69).

ირაკლი თავაძე

რაგბიდან პრივამდე ერთი ნაბიჯია

ავსტრალიელ ენტონი მანდაინს სენსაციური არაფერი გაუკეთებია, 3 ივლისს მხოლოდ ახალი ზელანდიის ჩემპიონი ჯერარ ზოსი გალახა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ მანდაინი წლევანდლამდე მორაგბე იყო, „სენტ-ჯორჯ ილავარა დრაგონსში“ თამაშობდა და წარმატებული კარიერის დიდებულად გაგრძელებაც შეეძლო, მაგრამ წლის დასაწყისში გუნდი უცებ მიატოვა, იქ რასისტულად მექცევიანო (აბორიგენია) და მამის კვალს გაჰყვა. მამამისი გვარიანი მოკრივე იყო საშუალო წონაში და მსოფლიოს ჩემპიონების — ლუის როდრიგესისა და კარლოს მონზონისგან ნაწვნევი ნოკაუტებიც ახსოვს. 3 ივლისს კვიცმაც გვარზე იხტუნა. ახალზელანდიელი რომ იქადნიდა, ყბებს დავამტვრევო, თვითონ აღმოჩნდა იმ დღეში. მანდაინმა მოულოდნელად ურტყა მეტოქეს, პირველ და მეოთხე რაუნდებში დააგდო კიდეც და რეფერი მიახვედრა, ჩხუბის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. 7428 მაყურებელმა ტაშისკვრით აღნიშნა დებიუტანტის პირველი გამარჯვება, ხოლო ისტორიაში, როგორც ირკვევა, არამოკრივეთა. კრივს დახარბების პრეცედენტები ადრეც ყოფილა. იხსენებენ ამერიკულად მობურთალ მარკ გესტინიუს, რომელიც მძიმეწონოსანი გახდა, ან კიდევ ჰიუსტონელ მენავთობესა და კოვბოის, ალონზო ჰაისმიტს, ოცდაათამდე ბრძოლა რომ გაუმართავს. ამიტომ მინდაინის გამარჯვება იმითაა გამოსარჩევი, რომ პროფესიონალს მოუგო, ასეთი რამ კი დღემდე არავის ახსოვს.

დავით გულუა

ძველი მენავთობეები ახალ თანამდებობებზე

რონ ლოუ

როგორც ჩანს, 2000 წლის ზაფხული მოვლენებით უხვი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეისტები ისვენებენ, მუშაობა არ წყდება და რამდენიმე გუნდს რადიკალური ცვლილებების ჟამი დაუდგა. ეს განსაკუთრებით ედმონტონსა და რეინჯერსზე ითქმის.

ჯერ კიდევ მაისში აშშ-ის პრესაში გაიელვა ინფორმაციამ, რომ ედმონტონის მესვეურებსა და გუნდის გენერალურ მენეჯერ გლენ საზერს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. საზერმა, რომელიც გუნდში ოცი წელი საქმიანობდა და სამართლიანად ითვლება 80-იანების დიდებული „ოილერსის“ მთავარ შემოქმედად, ხელმძღვანელობისგან მალულად სხვა კლუბებთან მოლაპარაკება დაიწყო. ამან ბოსები, ცხადია, აღაშფოთა. საბოლოოდ ყველაფერი საზერის დათხოვნით დასრულდა, რასაც გუნდის მენეჯმენტის ძირფესვიანი განახლება მოჰყვა.

და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კლუბის მესვეურებმა აქცენტი ძველ, სახელოვან ედმონტონში მოთამაშე ჰოკეისტებზე გააკეთეს — მათ ხომ ყველაზე მეტად შესტკივათ „ოილერსზე“ გული. საზერის ადგილზე კევინ ლოუ დაინიშნა. კაცი, რომელმაც კარიერის უმეტესი ნაწილი ედმონტონში გაატარა, იქვე დაასრულა და სტენლის თასიც ხუთჯერ (საერთოდ კი, ან ჯილდოს ექვსგზის მფლობელია) ამ გუნდთან ერთდ მოიპოვა. ყინულს რომ გამოეთხოვა, ლოუმ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დაიწყო მუშაობა და ერთი სეზონის შემდეგ, შარშანდლიდან უკვე „მენავთობეთა“ თავკაცად მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე მერამდენე სეზონია, პერსპექტიულ გუნდად მიჩნეული ედმონტონი კვლავ ერთ ადგილს ტკეპნის და პლე ოფის პირველივე რაუნდში გავარდა, ლოუს საქმიანობა დადებითად შეფასდა და, როგორც ხედავთ, იგი საკლუბო იერარქიაში კიდევ ერთი საფეხურით აღზევდა.

თავის მხრივ, ლოუს ადგილი 80-იანი წლების ედმონტონის კიდევ ერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ, 41 წლის კრეიგ მაკტავიშმა დაიკავა. იგი ამ სეზონში ლოუს ასისტენტად მუშაობდა და ახალგამომცხვარი მენეჯერის ახლო მეგობარია, ასე რომ, ამ ტანდემმა ნაყოფიერად უნდა იმუშაოს. თავისი გამორჩეული კარიერის გარდა (19 სეზონი, 480 ქულა) მაკტავიში ლიგის ისტორიაში შევიდა, როგორც ჩაფხუტის გარეშე მოთამაშე უკანასკნელი ჰოკეისტი.

„ვგრძნობ, რომ შეგვიძლია წარმატების მიღწევა, ამიტომ მომავალს დიდი იმედით შევყურებ“ — განაცხადა კრეიგმა ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. ცხადია, იგი იმას გულისხმობს, რომ ოდესღაც დიდ ედმონტონს კვლავ ააღორძინებს. საზერს კი რაღა? არც ის დარჩა უმუშევარი. მისმა საიდუმლო მოლაპარაკებებმა ნაყოფი გამოიღო და გლენი რეინჯერსის გენერალური მენეჯერის სავარძელში მოკალთდა. ვნახოთ, მოულებენ თუ არა ბოლოს ნიუიორკელები თავიანთ უიღბლობას, რომელიც 1994 წლის შემდეგ გრძელდება. პირველი ნაბიჯი მათ საზერთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებით (რაც, სავარაუდოდ, 12 მილიონი დოლარი დაჯდა) გადადგეს, ახლა კი დღის წესრიგში ახალი მწვრთნელის დანიშვნაა. გაზეთების ცნობით, ამ პოსტს საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი რონ ლოუ დაიკავებს. მართალია, კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, მაგრამ სავსებით რეალურია, ასე მოხდეს — ლოუ ხომ ორი წლის განმავლობაში საზერის ქვეშევრდომი გახლდათ ედმონტონში და სწორედ მაშინ, 1997 და 98-ში, მოახდინა გუნდმა ყველაზე გახმაურებელი სენსაცია (პლეი ოფიდან დალასი და კოლორადო გამოთიშა).

ასე ძვირად ფასობს დღეს ნჰლ-ში ხალხი, ვინც თავის დროზე ედმონტონს დიდება და სახელი მოუტანა.

სამველ ღარიბიანი

რამდენი ჭიქა დალია რიჩარდ უილიამსმა ინგლისურ ქელეხში?

ქალები. ნახევარფინალი: ვინუს უილიამსი (5, აშშ) — სერენა უილიამსი (8, აშშ) 6:2, 7:6(7:3).

დები უილიამსების ნახევარფინალურ შეხვედრას დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა უძღოდა. პიტ სამპრასიდან დაწყებული მარტინა ნავრატილოვათი დასრულებული ლამის თითოეულს სთხოვეს პროგნოზი (სავარაუდო გამარჯვებულად ყველამ სერენა დაასახელა), გაზეთების პირველ გვერდებზე მათი დაკუნთული შავი სხეულები გამოჭიმეს და მთელი ოჯახის ისტორია ერთხელაც დაწვრილებით შეგვახსენეს (ბავშვობაში რონალდ რეიგანთან გადაღებული ფოტოების ჩათვლით).

არ დავიწყებიათ უილიამსების კლანის მეთაურის, რიჩარდის ხსენებაც. შერეკილმა მამიკომ ხელიდან არ გაუშვა შანსი, მორიგი ზღაპარი მოეთხრო ჟურნალისტებისთვის, თითქოს ქალიშვილების მატჩის დროს „ოლ ინგლენდ კლაბის“ უსაფრთხოების ერთ-ერთი მუშაკის მეგობრის (!) დასაფლავებას უნდა დასწრებოდა, მეტი დრამატული ეფექტისთვის კი დაუმატა, ისე ვღელავ, 42 წლის მანძილზე პირველად დავთვრებიო.

იყვნენ ისეთებიც (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც), რომლებიც ტიტანთა ორთაბრძოლის ნაცვლად კარგად დადგმულ სპექტაკლს ელოდნენ. საქმე ის არის, რომ სერენას კოლექციაში უკვე აქვს დიდი სლემის ტურნირი, ვინუსს კი, რომელიც ყოველთვის აცხადებდა, უიმბლდონი ჩემი საყვარელი ტურნირიაო, „მეიჯორი“ ჯერ არ მოუგია.

„როგორც უფროსი და, ყველაფერში წინ ვიყავი. სკოლაში პირველი შევედი, მანქანა პირველმა ვიყიდე, მართვის მოწმობაც პირველმა ავიღე. ასე რომ, მის ყოველთვის ჩემი დაწევა უხდებოდა“ — განაცხადა ვინუსმა პრესკონფერენციაზე და როდესაც შეახსენეს, კი მაგრამ, სერენამ ხომ დიდი სლემის ტურნირი პირველმა მოიგოო, უსიამოვნოდ დაიმანჭა, ჰო, ვიცი.

იმის შეგრძნება, რომ უმცროსმა დამ ყველაზე მნიშვნელოვან რამეში დაასწრო, პირველობას ჩვეულ ვინუსს აშკარად სტანჯავს. ნიუ იორკში სერენას ტრიუმფის მომენტში, ისევე როგორც მეორე დღეს, წყვილად ინტერვიუს მიცემისას, უფროს უილიამსს ახლობელი ადამიანის წარმატებით გახარებულის გამომეტყველება ნამდვილად არ ჰქონდა, უფრო მგლოვიარეს ჰგავდა.



REUTERS ლონდონიდან

ვინუსი სერენას: ნუ ტირი, დაიკო

სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო, რომ უილიამსები, რაიმე ძველბერძნული ოჯახური ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, ერთმანეთს წინასწარ მოურიგდებოდნენ და საქმეს თვალების დათხრამდე ან ფიალაში დარიშხანის ჩაყრამდე არ მიიყვანდნენ — ვინუსს სერენას ჩრდილიდან გამოსვლა ჰაერივით ესაჭიროებოდა.

ტის შემდეგ სერენა ოდნავ უკეთ ათამაშდა, მეტოქეს მოწოდება აართვა და 3:1 დაწინაურდა. მომდევნო ათიოდ წუთის მანძილზე მას უამრავი ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა, ვინუსს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა.

უფროსმა უილიამსმა აქაც არაერთხელ ისარგებლა დედმამიშვილის გულუხვი საჩუქრებით, პირველივე მატჩპოინტზე კი სერენამ სულაც ორმაგი შეცდომა დაუშვა და ამ იმედგამაცრუებელ მატჩს აშკარად სიმბოლური წერტილიც დაუსვა.

ყოველგვარი ემოციის გარეშე დებმა ბადესთან ცივად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და თავიანთი ავლა-დიდების მოკრეფის შემდეგ სწრაფი ნაბიჯით გაუჩინარდნენ კორტიდან.

ჟურნალისტების წინაშე პირველად გამოჩენილ სერენას ცხვირ-პირი ამ სიტყვების მეტად პირდაპირი გაგებით ჩამოსტიროდა: ორივე თვალიდან ლოყებზე ცრემლი სდიოდა და მათ მოწმენდას არც ცდილობდა.

— დღეს ბურთს თითქოს ვერ ვგრძნობდი, მთელი ტექნიკა მომეშალა. საკუთარი თავისგან გაცილებით მეტს ველოდი, მაგრამ რას იზამ... მე მხოლოდ 18 წლის ვარ, ვინუსი კი ოცის. წინ კიდევ მთელი კარიერა მაქვს. თანაც არ ველოდი, თუ ის დღეს ასე კარგად ითამაშებდა და ცოტათი მოუმზადებელი აღმოვჩნდი“ — წამოიკნავლა სერენამ და როდესაც ჩააცივდნენ, საერთოდ არ გაგცემთ პასუხსო, დაიმუქრა — დღეს ვინუსმა მაჯობა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ის საერთოდაც ჩემზე უკეთ თამაშობს. ამას პიტ სამპრასზეც კი არ ვიტყვი.

რიჩარდ უილიამსის მიერ თავისი ქალიშვილებისთვის ჩანერგილი შეხედულებების ალბათ ერთადერთი სისუსტეც სწორედ ესაა: სერენასაც და ვინუსსაც ბავშვობიდან უჩიჩინებდნენ, რომ ისინი საუკეთესოები არიან, მაგრამ საუკეთესო ხომ მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს. რა მოხდება მათ პირად შეხვედრაში? თუ მამის წინასწარმეტყველების მიხედვით, უილიამსებს მა-



REUTERS ლონდონიდან

ელენა დოკიჩი წაგებამ დააბნია

ჩემს თეორიას დამტკიცება ალბათ არ უწერია, თუმც კორტზე ნახევარფინალში მართლაც უცნაური რამ ხდებოდა.

სერენა, რომელიც, საერთო აზრით, ვინუსზე უკეთესი ჩოგბურთელია და აქამდე უიმბლდონზეც გაცილებით უკეთ თამაშობდა, საკუთარ თავს არ ჰგავდა: სულელური შეცდომები, აცილებული ფორჰენდები, უაზრო გამოხედვა...

თავად მატჩიც ვერაფერიშვილი სანახავი გამოდგა. ორი-სამი დარტყმის შემდეგ ან ერთი და აცილებდა ბურთს, ან მეორე, ლამაზ გათამაშებებს თითებზე დაითვლიდით.

პირწმინდად წაგებული პირველი სეტის შემდეგ ვინუსმა ოდნავ ადვილად ასაკრეფი ოქროს მედალი ... ...



REUTERS სიდნეიდან

ხალხის მოსაზიდად

სხვისი არ ვიცი და ოლიმპიადის ორგანიზატორებისთვის სიდნეის ოლიმპიური კომერციული ცენტრი მთავარი ინტერესის საგანი იქნება. სწორედ იქ გაიყიდება უამრავი რამ, რაც ოლიმპიადას უკავშირდება და არა მარტო... ხალხის მოსაზიდად ზრუნვა აქედანვე საჭიროა და ქანდაკებებიც ამ მიზანს ემსახურება. ვისი ქანდაკების ნახვა არ შეიძლება იმ მდიდარ ადგილას: ბირთვის მკვრელიო, სპრინტერიო და რა ვიცით კიდევ... ერთი მსხვერპლი ფოტოზე ჩანს, მავანი ბიზნესმენია, მაგრამ ანკეს თუ წამოეგო და ცენტრში შეაბიჯა, ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს.

უბრალო ფოტო

REUTERS ლონდონიდან

გარეგნულად ეს ფოტო „სარბიელის“ ბოლო გვერდზე გამოსატანი არ იყო. მზეთუნახავი იგი არ არის, მკითხველს ვერ გააცინებს და არც რაიმე უჩვეულოს ასახავს, მაგრამ გარწმუნებთ, მისი გამოჭერისთვის მსოფლიოს ნებისმიერი პაპარაცი სულს სატანას მიჰყიდის: იორკის ჰერცოგინია გახლავთ, პრინცესა დაიანა ნომერი ორი და უიმბლდონზე ვინუს და სერენა უილიამსების ქიშპის სანახავად მისულა. ფოტოს ავტორი ვინმე დილან მარტინესი გახლავთ. ნახავდა რამე ხეირს...

REUTERS ლონდონიდან

გელა, კაი გოგო

REUTERS ბრიუსელიდან

გელამ თუ ვინმეს ხელი მოჰკიდა?!... ლავაშივით გააბრტყელებს; აბა, ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონები და ოლიმპიადის პრიზიორები ვიღაცეები კი არ ხდებიან. ახლა ეს ჯიგარი გოგო, ბელგიელი გელა ვანდეკავეი დამწუხრებულა, მუხლი უტკენია და სიდნეის ოლიმპიადაზე ვერ წავა, მაგრამ ბარაქალა გელა, მაინც ბარაქალა შენს კაცურქალობას!

მამა

არის რა, ერთი ზანგის კაცი, ბავშვივით ჩაცმული და სახით აშკარად შერეკილი, როგორც „სარბიელის“ საჩოგბურთო მიმომხილველი ავთო სვანიძე უწოდებს ხოლმე, ხელში ოჯახის კაცივით პარკი დაუჭერია, მაგრამ ვითომ პროდუქტები მიაქვს სახლში? საქმე სხვაგვარადაა: უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ამ კაცის ორი გოგო ჭამს ერთმანეთს და ბებერი უილიამსი სწორედ ოჯახურ დრამას გამორიდებია. ვინუსმა მოიგო.

ვირი და ბერბიჭა



როცა პელოტონმა ვირს ჩაუქროლა, თავი არავის აუწევია, ეტყობა „ტურ დე ფრანსის“ ხალხი ამ პატიოსან ცხოველს გზისპირზე ხშირად ხედავს, მაგრამ საქორწინო კაბაში გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც ცოლს ეძებს, გზისპირას კი არა, საერთოდაც იშვიათობაა და თანაც ამგვარი ხერხით ქმრის შოვნა უფრო გაგვიგია. ყოველ შემთხვევაში, პელოტონი დაინტერესდა, გაკრეჭილი სახეებიც მრავლადაა და მობრუნებული თავებიც... და ეს ყველაფერი წამში 15 მეტრი სიჩქარისას... თქვენ მანდ ფრთხილად იყავით!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge